

საბა

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№ 3

მარტი

2007

გულის წაკითხვის უნარი
პიუს XII და საბჭოთა სპეცსამსახურები
ბათუმის კათოლიკეთა ტაძარი
მოხალისეობა
ვატიკანის II კრება ეკლესიის შესახებ

რედაქციის გვერდი

გულის წაკითხვის უნარი

2007 წლის დიდი მარხვის უამს იქნებ შევეცადოთ და სიტყვა “წაკითხვა” საკუთარ თავზე მოქმედ სიტყვად გადავაქციოთ? წაკითხვა არა მხოლოდ იმ გაგებით, როგორც „საბას“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ, არამედ საკუთარი აზრების, საკუთარი გულის წაკითხვა. მაინც რას უნდა ნიშნავდეს ეს? ჩვეულებრივ, გაცილებით იოლი გვეჩვენება, მიუხედავად გარკვეული სირთულისა, წიგნების, სტატიების, ჩვენს ირგვლივ მომხდარი მრავალი მოვლენის წაკითხვა, რომლებიც, ჩვენდა სასიხარულოდ, გვიწვევენ ამისკენ და ასეც ვიქცევით კიდევ, მაგრამ აი, რაც შეეხება გულის წაკითხვას, ჩვენი სულის სიღრმის ძიებას, იმ ენერჯის, იმ ნაჭდვეის, რაც ღმრთის შემოქმედებითა ხელმა დაგვასვა, შეიძლება ეს ყველაფერი ფუჭად დაკარგულ დროდ მივიჩნიოთ, – ძველმოდურად, შეუძლებლად და უცნაურად.

იმისათვის, რომ ჩვენი გულისნადების წაკითხვა შევძლოთ, გავიხსენოთ ლუკას სახარების იგავის უძღები შვილის “საკუთარ თავში დაბრუნება”, წმიდა აგუსტინეს “redde in te ipsum”, ოღონდაც სხვებთან არ დავიწყოთ მკითხაობა (ქირომანტია, ასტროლოგია, მაგიები), ის, რისი გაკეთებაც არ გამოგვდის, სწორედ სულის ამოკითხვაა; მაგალითად, დღეში მდუმარების ნახევარი საათი მაინც არის საჭირო, რომ წმიდა წერილის რომელიმე მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ, მის შუქზე ამოვიკითხოთ საკუთარი თავი.

სწორედ სიჩუმეში აღმოვაჩინოთ ფიქრებს, იმ რხევებს, რაც აზრთა ორომტრიალში, ეგოიზმში, ორმაგ თამაშებში, ფარისევლობაში მარხია, ანუ, სამწუხაროდ, რითაც შედგება ჩვენი დღის უმეტესი ნაწილი.

სწორედ სიჩუმეში შეგვიძლია შევეხოთ ჩვენი სულის უნაზეს სიმებს, ვიგემოთ სულიერების სურნელი, სილამაზე და საკრალურობა “საკუთარი სავანესი”, რომელშიც ჩვენი ზეციური მამა მოგველის იმ საიდუმლოთა

გასამუდავებლად, საიდანაც იშვა და სადაც მიიღტვის ჩვენი სიცოცხლე: ჩვენ ხომ მამის წიაღში ვიშვით და სიცოცხლის ბოლოს მის “მშობლიურ” წიაღსვე დაეუბრუნდებით. “შენ, ჩემო ღმერთო, ყველაზე ღრმად იყავ ჩემში, უმჭიდროვესად” (წმ. აგუსტინე, “აღსარებანი”). ჩვენ უნდა ჩავწვდეთ იმ სიღრმეს, რომელშიც ამაჟამად ვიმყოფებით და შევძლოთ საკუთარ თავთან სიმშვიდეში დარჩენა.

სიხუმეში უნდა გავახშიანოთ ის, რაც, როგორც *კონრადი* იტყოდა: “ჩვენში იწვევს ტკობისა და გაცევის განცდის უნარს, აზრს სიცოცხლის იღუმალებაზე, ჩვენს კეთილგანწყობას, მშვენიერებას, ტკივილს, სამყაროსთან იღუმალ კავშირს, მცირედ, მაგრამ თანადგომის უღრეკ რწმენას, რაც უთვალავ ადამიანთა გულებს აერთებს, იმ ოცნებებს, სიხარულს, ტკივილს, აღმაფრენებს, იღუზიებს, იმედებსა და შიშებს, რაც აერთიანებს ადამიანებს და მთელს სამყაროს: მკვდრებს ცოცხლებთან, ცოცხლებს კი მათთან, ვინც ჯერ კიდევ არ დაბადებულა? სწორედ სიხუმეში შეიძლება იშვას ლოცვა, ნამდვილი ლოცვა, “სულითა და ჭეშმარიტებით”, ლოცვა, რომელიც ლამობს ღმერთთან შეხვედრას ეკლესიაში და ადამიანებთან საუბარში.

სწორედ სიხუმეში შეიძლება დაიბადოს მოთქმა-გოდება, განმათავისუფლებელი, ნამდვილი. გვეჩვენება, რომ ამ სამყაროდან თითქოს გაქრა გულწრფელი მოთქმა-გოდება. დარჩა მხოლოდ მოჩვენებითი ცრემლები, ისტერიული, პარანოიდული ტირილი; ცრემლები, რომლებიც ჭეშმარიტი შინაგანი მოქცევიდან გადმოიღვრება, ახალი ნათლისღების, ახალი აღდგომის ტოლფასია.

თუმცა ესეც არის, სულის სიღრმემდე მისაღწევად, განწმენდის სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი, ყველა იმ მხარის, “წახდენილი” ნაწილის მოძიება და გარეთ გადაყრა, გულდაგულ რომ ვჩქმაღავთ. რამდენჯერ გვიცდია სახელის დარქმევა ამ *წახდენილი* ნაწილებისთვის: მკრეხელობა, ფული, ძალაუფლება, ალკოჰოლი, ნარკოტიკი, სექსი, სიყალბე, მოდა – რათა შემდეგ არ გვექონოდა იმდენად ძლიერი ნაბიჯების გადადგმის უნარი, რაც თავდაყირა დააყენებდა ყველაფერს! რამდენი უღირსი მექანიზმი იმალება ჩვენში, ჩვენი სულის სიღრმეში, იმისათვის, რომ არ დავაზიანოთ ყველა ის ნიღაბი, რაც ჩვენს ცხოვრებას ართულებს. რაოდენ ნორმალურ პირობადაა მიჩნეული ზოგისთვის ისეთად გამოჩნდეს, როგორც არ არის ან პირიქით, არ გამოჩნდეს ისეთად, როგორც არის. და ეს იმის გამო, რომ ხშირად ჩვენს თავს გაგურბივართ და არ გაგვანჩია საკმარისი შინაგანი სიძლიერე, რაც შეგვაძლებინებდა ჭეშმარიტი მწუხარების ყალბისგან განსხვავებას, რადგანაც ძალზე ხშირად ვერ გაგვირჩევია რეალობა მირაჟისგან, საკუთარი კერპები – ჭეშმარიტი ღმრთისგან.

სულის ამოკითხვა, რომელიც შორს იდგება პასიური და გაბრუებული ყოფიერებისაგან, გვიბიძგებს, ჩვენი ცხოვრების გონივრულად და მუდმივად და, აქედან გამომდინარე, მთელი სამყაროს, ეკლესიისა და ოჯახის გაუმჯობესებისკენ. როგორც ნეტარი ტერეზა კალკუტელი იტყოდა გულის ამგვარი წაკითხვა იქნება “გამოწვევა – გასააზრებლად, გალობა – საგალობლად, თამაში – სათამაშოდ”, მიღებული სიყვარულით და ენთუზიაზმით, და არა როგორც სატარებლად მიძიმე უღელი და ამ ენერგიით ავსებულნი ვერთვებით ცხოვრებაში, ვშრომობთ და გვიყვარს გემოვნებით. მაღლიერების გრძნობით ვაფასებთ წუთისოფლის ძღვენთ და არასოდეს

ვივიწყებთ, რომ ჩვენ უნდა ვემსახუროთ მათ და არა პირიქით. ასე ვცხოვრობთ დახსნილნი მწუხარებიდან, რასაც მონობა წარმოშობს მათში, ვინც ყოფიერების სიზანტეს, მატერიალური კეთილდღეობის შეძენას და არსებულ ორომტრიალს გაუბრუნებია. ამ “გულთა კითხვას” გვიმზადებს ცხოვრება; რამხელა სიღრმეს შეიძენს ჩვენი მზერა, რამდენად შექმლებთ საკუთარ და სხვის ცხოვრებაში შეღწევას!

მსგავსი გამოცდილება განიცადა ცნობილმა ლოგოთერაპევტმა ვიკტორ ფრანკლმა, რომელიც, ებრაელობის გამო გერმანელთა ბანაკში დატყვევებული, სასოწარკვეთის შავ უფსკრულში ეშვებოდა; იქ მან შეძლო თავის გადარჩენა თვითმკვლელობისგან და იმ ჯოჯოხეთში ცხოვრება; “სულის ამოკითხვის” პროცესში მან ძალუმად იგრძნო შინაგანი გამოფხიზლება, ძლიერი ენერჯია, რითაც გარემოებით დატყვევებული თავისი ფიქრები დაიმორჩილა და საკუთარი თავს თავისუფლების განაჩენი გამოუტანა. კოსმოსის ყველაზე ძლიერი ძალა დევს არა მატერიაში, არამედ – და ეს არის კვანტური ფიზიკის თეორია, – იმ ჩაკეტილ ენერჯიაში, რომელშიც ადამიანს ძალუმს საკუთარი თავის წაკითხვა, საკუთარ თავზე ფიქრი, საკუთარი თავის შეყვარება, რომ შემდგომ გული გაუხსნას ღმერთსა და მოყვასს.

მამა გაბრიელე ბრავანტინი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

პიუს XII, პოლოკოსტი და საბჭოთა სპეცსამსახურები

გასული თვე მრავალი სინტერესო მოვლენით აღინიშნა, მაგრამ გვსურს მკითხველის ყურადღება ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხს მივაპყროთ. საქმე ეხება კათოლიკე ეკლესიისადმი საბჭოთა ხელისუფლების მიმართებას. ეს მიმართება, როგორც ცნობილია, ათწლეულების განმავლობაში არა უბრალოდ მტრული, არამედ საოცრად ტენდენციური და ცილისმწამებლური იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა ძალაუფლება ქმნიდა მთელ რიგს მითებისას კათოლიკე ეკლესიის შესახებ, რომელთაგან ამჯერად ერთს გამოვყოფთ. ესაა ე. წ. მითოსი ვატიკანისა და ნაციონალ-სოციალიზმის თანამშრომლობის შესახებ. ჯერ კიდევ სტალინური პერიოდიდან მოყოლებული “სამეცნიერო” წიგნების წყება იბეჭდებოდა, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა ამ მითოსის ტირაჟირება. მაგრამ თავის კულმინაციას ამ მოვლენამ XX საუკუნის 60-70-იან წლებში მიაღწია. რა მიზანს ისახავდა ეს მითოსი?

სანამ ამ შეკითხვას პასუხს გავცემდეთ, უნდა აღინიშნოს შემდეგი: თანამედროვე დასავლეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ჯერ კიდევ მოუშუშებელი ტრავმა II მსოფლიო ომი და მისი შედეგებია, უპირველეს ყოვლისა, – ნაცისტური რეჟიმის მიერ 6 მილიონზე მეტი ებრაელის ექსტერმინაცია. ამ საზარელ ფაქტს რამდენიმე სახელი აქვს – შოა, კატასტროფა, პოლოკოსტი. თანამედროვე დასავლეთური საზოგადოების ერთ ნაწილში, სამწუხაროდ, გავრცელებულია აზრი, რომ რომის უზენაესმა პონტიფექსმა პიუს XII-მ და კათოლიკე ეკლესიამ არ შეაჩერა ებრაელთა ექსტერმინაცია და რომ პიუს XII-ს მხოლოდ მონათლული ებრაელების გადარჩენა აინტერესებდა.

მაგრამ საქმე ისაა, რომ 1941-45 წლებში უამრავმა ებრაელმა – სიონისტმა თუ ორთოდოქსმა იუდეველმა – იცოდა, ვინ იმალებოდა *მონათლულ ებრაელთა* უკან – ებრაელები, რომლებმაც ნათლობის ყალბი დოკუმტები ვატიკანიდან პაპის უშუალო მითითებით მიიღეს. როდესაც პიუს XII გარდაიცვალა, გოლდა მეირმა სამხიმრის სიტყვაში განაცხადა, რომ გარდაცვლილმა პონტიფექსმა ებრაელთათვის გააკეთა უფრო მეტი, ვიდრე ყველა დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფლებამ ერთად აღებულმა. ასევე მიიხნევენ ალბერტ აინშტაინი, მოშე შარეტი, რაბინი ისააკ ჰერცოვი, რაბინი ელიო ტოაფი – აღარაფერს ვამბობთ რომის მთავარ რაბინზე II მსოფლიო ომის განმავლობაში – ისრაელ ცოლიზე (ცოლერი), რომელიც 1945 წელს მოინათლა და ნათლობის სახელად ეუჯენიო არჩია – პიუს XII-ის პატივისცემის ნიშნად (პიუსის სახელი და გვარი ერისკაცობაში ეუჯენიო პაჩელი იყო). თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს მდგომარეობა სხვაგვარია – ლიბერალი ანდა მემარცხენე ინტელექტუალები და ე. წ. ლიბერალი კათოლიკეები მიიხნევენ, რომ ეკლესიამ და პაპმა არაფერი (ან ბევრი არაფერი) იღონა ებრაელთა გადასარჩენად. განსაკუთრებით გამოირჩევიან ყოფილი კათოლიკე მღვდელი ჯეიმს კეროლი და ჯეიმს კორნუელი. მათი წიგნები – *კონსტანტინეს მახვილი* და *ჰიტლერის პაპი* – თანამედროვე რადიკალური სექულარიზმის მანიფესტებია.

პიუს XII-ის, მისი დისკრედიტაციის მიზეზი, რომლის დასაწყისის სიმბოლურ თარიღად 1963 წელს გამოქვეყნებული როლფ ჰოსუტის პიესა – *მოსაყდრე* – უნდა მივიჩნიოთ, პონტიფექსისი მძაფრი ანტიკომუნიზმი გახდა. არადა, XX საუკუნის 60-იანი წლები დასავლეთში ხომ რადიკალური მემარცხენე განწყობათა აღზევების პერიოდია – სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ პიუს XII-ის ნეგატიური იმიჯის ფაბრიკაცია.

თუმცა, რაღა თქმა უნდა, ყოველივე ამას უფრო ღრმა მიზეზიც აქვს – II მსოფლიო ომის განმავლობაში თითქმის ყველა დემოკრატიულმა თუ ლიბერალურმა სახელმწიფომ იმდენად სამრცხინო პოზიცია დაიკავა ებრაული საკითხისადმი, რომ “საჭირო გახდა” ერთდერთი ძალის – კათოლიკე ეკლესიის – დისკრედიტაცია – ეკლესიამ ხომ ქმედითი და რეალური დახმარება აღმოუჩინა ებრაელ ხალხს (და არა ოდენ მას, აქვე შევნიშნავთ). კონტრასტისათვის: შვეიცარიამ უარი თქვა დევნილ ებრაელთათვის თავშესაფრის მიცემაზე და ისინი უკან გამოაბრუნა. ამერიკის შეერთებული შტატები და ბრიტანეთი კი II მსოფლიო ომის განმავლობაში საერთოდ უარყოფდნენ, რომ ნაცისტურ გერმანიაში ებრაელები იდევნებოდნენ.

მაგრამ დაუბრუნდეთ გასულ თვესა და იმ ცნობას, რომელიც ამერიკულ პრესაში, კერძოდ, *ნაციონალურ რევიუ ონლაინში* გამოჩნდა: გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა მიხაი პაჩეპამ ამ პერიოდული გამოცემისადმი მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ “1960 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირის მაშინდელმა ლიდერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ზესაიდუმლო გეგმა დაამტკიცა, რომელიც დასავლეთ ევროპაში ვატიკანის მორალური ავტორიტეტის შერყევას ითვალისწინებდა”. პაჩეპას სიტყვით, კგბ-მ ძირითად სამიზნედ 1958 წელს გარდაცვლილი პაპი პიუს XII აირჩია. უნდა შექმნილიყო მისი ხატი როგორც გულცივი და ნაცისტებისადმი სიმპათიით აღსავსე ადამიანისა. “შეკვდარს არ

ძალუძს საკუთარი თავის დაცვა,” – ამგვარი იყო საბჭოთა სპეცსამსახურების დევიზი.

კვბ-მ მის წინააღმდეგ გამოიყენა ის ფაქტი, რომ პიუს XII 20-იან წლებში, როდესაც ნაცისტური პარტია პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლას იწყებდა, პაპის ნუნციუსი იყო მიუნხენსა და ბერლინში. პაჩეპა აღნიშნავს, რომ სპეცსამსახურებს სურდათ წარმოედგინათ ის როგორც ანტისემიტი და ჰიტლერისეული ჰოლოკოსტის შთამაგონებელი. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ვატიკანის არქივში შეღწევა და შესაბამისი დოკუმენტების ფასლიფიკაცია – საჭირო იყო ადამიანი, რომელიც ამგვარ დავალებას შესარულებდა.

სწორედ ამ მიზნით კვბ-მ თავის მთავარ აგენტად რუმინელი პაჩეპა აირჩია. ის ვატიკანში მიავლინეს საკმაოდ საინტერესო ყალბი მისიით – თითქოს სოციალისტურ რუმინეთს ვატიკანთან დიპლომატიური კავშირის აღდგენა სურდა. 1960-62 წლებში პაჩეპამ ბევრი დოკუმენტი შეისწავლა – პიუს XII-ის დისკრედიტაციისათვის არცერთი გამოდგებოდა, მაგრამ ის მაინც ამ დოკუმენტთა ასლებს მოსკოვში აგზავნიდა.

და, აი, 1963 წელს ქვეყნდება და იდგმება ავსტრიელი როლფ ჰოსხუტის პიესა *მოსაყდრე, ქრისტიანული ტრაგედია*. პიესის ტექსტს 40-გვერდიანი მოსკოვის მიერ მოპოვებული “დოკუმენტები” ერთვოდა, რომელიც წარმოაჩენდა პიუსის ახალ იმიჯს – ცივსა და ბოროტ ადამიანს, ანტისემიტსა და ნაცისტების შთამაგონებელს.

პიესას საკმაოდ სერიოზული წარმატება ხვდა წილად – ის ერთ წელიწადში ორმოც ენაზე ითარგმნა და მსოფლიოს მრავალ სცენაზე დაიდგა. “ადამიანებს სიბინძურის უფრო სჯერათ, ვიდრე სიწმინდისა,” – ასე ცინიკურად ახსნა საბჭოთა სპეცსამსახურების მაშინდელმა უფროსმა იური ანდროპოვმა (შემდგომში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა) პაჩეპასთან საუბარში პიესის წარმატების მიზეზი.

დღეს ეს პიესა თითქმის აღარავის ახსოვს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის წინ ბერძენმა კომუნისტმა რეჟისორმა კოსტა-გავრასმა მისი რეამინირება მოიწადინა, მაგრამ პიუს XII-ის ნეგატიური ხატი დასავლური საზოგადოების ნაწილში ჯერაც ცოცხალია. – თუმცა, აღნიშნავს პაჩეპა, – სიმართლე დღეს მაინც გზას მიიკვლევს ამ სიბინძურესა და სიბნელეში: რაბინმა დავით დალინმა მორიგი წიგნი გამოაქვეყნა პიუს XII-ისა და მისი პონტიფიკატის (1939-1958 წწ.) შესახებ. ამ მონოგრაფიაში წარმოდგენილია ბევრი ახალი დოკუმენტი, რომლებიც გვიჩვენებს, რომ პიუსმა და რომის კათოლიკე ეკლესიამ ათასობით ებრაელი გადაარჩინა სიკვდილის ბანაკებსა და გაზის კამერებში დაღუპვას.

დაბოლოს, ჩვენთვის მთელი ეს ამბავი სამაგალითო უნდა იყოს – კარგად უნდა გვესმოდეს, რა ძალები იდგა და დგას ანტირომაული განწყობების უკან.

იაკობ ღუმბაძე

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

მამა სიმონის გახსენება

მამა სიმონ კლიმაშევსკი საქართველოში 2005 წელს ჩამოვიდა. იგი არღის საკრებულოში 5 აგვისტოს დაბინავდა. მოსახლეობამ ძალიან გაიხარა, რადგანაც მათთან მუდმივად იქნებოდა ახალგაზრდა, ენერგიული და ინიციატივიანი მოძღვარი. ჩვენი საკრებულოს მრევლმა იგი მიიღო როგორც სულიერი მამა, ხოლო უფროსმა ადამიანებმა შეიყვარეს როგორც საკუთარი შვილი (ასაკიდან გამომდინარე).

მამა სიმონმა დიდი მონღომებით და ენთუზიაზმით დაიწყო ქართული ენის შესწავლა, ჩამოსვლიდან მეორე დღესვე მან ქართულ ენაზე აღავლინა წმ. წირვა. ამ მოვლენამ ყველა განაცვიფრა. სულ მოკლე დროში მან ძალიან ბევრს მიაღწია. მამა სიმონმა საკრებულოს ახალგაზრდა წევრების და ყველა თაობის მორწმუნეების დიდი სიყვარული მოიპოვა და მათ გულებში სამუდამოდ დაისადგურა.

მიუხედავად ენის ბარიერისა ახალგაზრდებს მისი უსიტყვოდ გვესმოდა, ასევე ესმოდა მას ჩვენი. იგი ცდილობდა ყველასთან ახლოს ყოფილიყო და დახმარებოდა როგორც შექძლო. ახალგაზრდებს ხშირად გვახსენდება როგორ დაგვეხმარა მამა სიმონი 2005 წლის საშობაო ზეიმის მომზადებაში, თითქოს გრძნობდა რომ მისთვის ეს ბოლო შობა იყო, რადგან სურდა განსაკუთრებული გამოსულიყო. განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა მინისტრანტებთანაც. ასწავლიდა როგორც ღმრთისმსახურებას, ასევე, მეგობრობასა და სიყვარულს და თავადაც მათი დიდი მეგობარი იყო.

რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს მისი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ის სულიერად ყოველთვის ჩვენთანაა, რაც დიდ ძალასა და ენერგიას გაგძლევს. მისი გამამხნეებელი მზერა არასოდეს დაგვავიწყდება.

საოცარია ის ფაქტი, რომ მისი არაღში ჩამოსვლის და გარდაცვალების დღე პარასკევი იყო. იგი გარდაიცვალა საქართველოს ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე (ყაზბეგში) გასული წლის 17 თებერვალს.

**ეკა მათოშვილი
თეონა ტატალაშვილი**

პოლონური ლოცვანი

ვუძღვნი ქალბატონ ვიქტორია კორჟენევსკაიას ხსოვნას

წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა თბილისის კათოლიკური ეკლესია მრავალი ათეული წლის განმავლობაში თავის საკრებულოში სხვადასხვა ეროვნების მორწმუნეებს აერთიანებდა. პოლონელებსაც განსაკუთრებული ადგილი ეკავათ ამ საკრებულოს დაარსებაში. მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი, რომელიც დაკავშირებულია ქალბატონ ვიქტორია კორჟენევსკაიასთან.

1996 წელს, მე, ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, პოლონური ლოცვანით ხელში, ვიდექი ეკლესიაში, დილის წირვაზე. ღმრთისმსახურების შემდეგ, მომიახლოვდა ერთი ხანდაზმული ქალბატონი, რომელიც თვალს არ აშორებდა წიგნს და მკითხა:

– პოლონური იცი? – და, ისე რომ პასუხისთვის არ დაუცდია, გააგრძელა,
– ჩვენ გვჭირდება ვინმე, ვინც აგვისსნიდა თუნდაც ანბანს... ჩემს სახლში
პოლონელები იკრიბებიან – უმეტესობა – ჩემი ასაკისა (მან ჩაიცინა), ვიღაცა კი
ლაპარაკობდა პოლონურად, მაგრამ... დაავიწყდა...

– მაგრამ მე არ შემიძლია! მე ჩვიდმეტი წლისა ვარ, და არასდროს...

– ამას არა აქვს მნიშვნელობა, – გამაჩერა მან, – შენ მხოლოდ
დათანხმდი, ჩვენ კი ძალიან ვეცდებით.

მე იმ დღესვე აღმოვჩნდი ქალბატონ ვიქტორიას ძველ სახლში, კუკიის
სასაფლაოს პირდაპირ, პოლონური ენის პირველ გაკვეთილზე, გაკვეთილისა,
რომლის ჩატარებაც მე მომიწია. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს სახლი
ღვეგენდებით სუნთქავდა და მასში სიძველის სუნთქვა იგრძნობოდა – მძიმე
პირქუში ავეჯი, გარდასულ ადამიანთა პორტრეტები (დიასახლისმა ყველა
ახლობელი დაკარგა, უკანასკნელი – ახალგაზრდა ქალიშვილი), მაგრამ აქ
მუდმივად ღოცულობდნენ. ქალბატონ ვიქტორიას უცვლელი თანამგზავრი კი
იყო ხშირი ხმარებისაგან გაცვეთილი, სქელტანიანი ღოცვანი „Modlitewnik“.

ამ დღიდან დაიწყო პეტრე-პავლეს ეკლესიის საკრებულოს პოლონელი
წევრების ყოველკვირეული შეხვედრა. ყოველ კვირა დღეს პოლონური ღოცვით
ვამთავრებდით. ქალბატონ ვიქტორიას უყვარდა განმეორება: „მე კარგად
ვსაუბრობ ქართულად, მაგრამ ყოველთვის ვლოცულობ მხოლოდ პოლონურად“.
ჩვენი შეხვედრების საწყისი მიზანი იყო ღოცვების შესწავლა წინაპართა ენაზე,
რაშიც რელიგიური ლიტერატურა გვიწევდა დახმარებას.

საქართველო მეორე სამშობლო იყო ქალბატონ ვიქტორიასთვის.
ახალგაზრდობა მან ლენინგრადის ბლოკადაში გაატარა, მისი ნაამბობი მეორე
მსოფლიო ომის სასტიკ ეპოქაზე, საკმარისი იყო მემუარული
ლიტერატურისთვის, ან რომანისთვისაც კი... შემდეგ იგი გახდა ქართველი
მეცნიერის პლატონ ჯაფარიძის მეუღლე და ისინი თბილისში ჩამოსახლდნენ.
ჩვენი შეხვედრების დროს ქალბატონი ვიქტორია 72 წლისა იყო.

კათოლიკური ეკლესიის ტრადიციებს ქალბატონ ვიქტორიას ცხოვრებაში
ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. მოწიწება და თაყვანისცემა
წმიდანთა დღესასწაულებისა არასოდეს შეწყვეტილა არც მის ბავშვობაში,
რომელიც რევოლუციის წლებს დაემთხვა და არც ახალგაზრდობაში, მეორე
მსოფლიო ომის დროს. ქალბატონი ვიქტორია გულში ინახავდა ამ ტრადიციის
საოცარ დეტალებს. განსაკუთრებით დღემდე ასხენდება საშობაო, ქვემოდან
თივაამოდებული, გახამებული სუფრა და პოლონური საგალობლების სიმღერა,
რომელთა უმეტესობა შუასაუკუნეებისა იყო და ბოლომდე მხოლოდ
მღვდლებსდა ახსოვდათ.

ადღგომისა და შობის დღეებში კუკიის უბანში მდგარი ძველი სახლი
სტუმრებით ივსებოდა, რომელთა შორის აუცილებლად ნახავდით ტაძრის
წინამძღვარს მამა ადამს, ასევე, იმ ადამიანებს, რომელთაც პოლონეთთან
არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდათ, მაგრამ დაინტერესებულნი იყვნენ მისი
კულტურით, ან უბრალოდ დიასახლისის კეთილი ღიმილი იზიდავდათ.

1997 წლის იანვარში თბილისში დაიწყო პოლონურ ენაზე წმიდა წირვების
ჩატარება და დღემდე გრძელდება. ქალბატონი ვიქტორია კორუენეუსკაია ამის
ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო.

1998 წლის 28 მარტის დილა ქალბატონ ვიქტორიასათვის აღარ გათენებულა. ის საკვირაო დილის წირვის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე წავიდა ჩვენგან. ღმერთმა მას აჩუქა უკანასკნელი გაელვება მშობლიურ ტაძარში. კუბოში მას ხელთ ეპყრა ტყავადაკრული ძველი პოლონური ლოცვანი.

დრო არ ინდობს მეხსიერებას, ძველ სახეებს, სახელებსა და თარიღებს, მაგრამ ქალბატონ ვიქტორიას მიერ ნალოლიავეები ტრადიციები დღესაც ცოცხალია. კვლავინდებურად აღესრულება ყოველთვიური პოლონური წირვები და მრევლთან შეხვედრები, სადაც უღერს პოლონური სიტყვები და სიმღერები. საქართველოში გაიხსნა პოლონეთის საელჩო და პოლონეთი უკვე აღარ გვეჩვენება ჩვენი წინაპრების რაღაც მიუღწეველ და საოცნებო ქვეყანად. მაგრამ ცნობიერებაში კვლავ უღერს შორეული ფრაზა „მე ყოველთვის ვლოცულობ მხოლოდ პოლონურად“. და მე ვიწყებ ფიქრს დიდტანიან წიგნზე – „Modlitewnik“, როგორც რწმენის უკვდავი ტრადიციების აღორძინების სიმბოლოზე.

ორენა კესკიული

სულიერება

სიკეთე

ქალაქ ნეგრას (ვერონა) საავადმყოფოს მოძღვარი, დონ მარიო გატი „საქართველოს კარიტასის“ ამბულატორიის ერთ-ერთი დონორია. მამა მარიო გატიმ „საბას“ მკითხველებისათვის თავისი ჩანაწერები გამოავ ზავნა. წმიდა წერილიდან ამონარიდი ფრაგმენტები, ვფიქრობთ, ჩვენი მორწმუნეებისათვის კარგი რჩევები იქნება დიდი მარხვის პერიოდში.

„შეიმოსეთ მოწყალებით, სახიერებით, თავმდაბლობით, სიმშვიდით, სულგრძელობით. შეიწყნარეთ ერთიმეორე და მიუტყვევთ ერთმანეთს“ (კოლ. 3:12).

„სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერებ, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე, თავშეკავება“ (გალ. 5:22).

„იარეთ სინათლის შვილებისამებრ: ყოველი სიკეთით, სიმართლით და ჭეშმარიტებით; ეძიეთ ის, რაც სათნოა უფლისთვის“ (ეფ. 5:10).

„გამოჩნდა ჩვენი მაცხოვარი ღმრთის სახიერება და კაცთმოყვარეობა, გვიხსნა თავისი წყალობით“ (ტიტე 3:4-5). უფალო, ღირს გვყავი შენი სიკეთისა!

„იხილე ღმრთის სახიერება შენს მიმართ და უერთგულე ამ სიკეთეს“ (რომ. 11:22). უფალო, მაქციე ნოყიერ ნიადაგად შენი წყალობისათვის.

„დაივიწყე შენი შეცოდებანი უფალო; მომიგონე შენი გულმოწყალებით, შენი სიკეთით“ (ფსალმუნი 25:7). დაე, მეც, ჩემი მხრივ, მახსოვდეს შენი დიდი სიყვარული.

„მიპასუხე, უფალო, როცა გიხმობ. გადმომხედე შენი დიდი ღმობიერებით“ (ფსალმუნი 69:17). შენ არასოდეს მიატოვებ იმას, ვინც გენდობა.

„კეთილი ხარ უფალო, მასწავლე შენი მცნებანი“ (ფსალმუნი 119:68) და მომეცი ძალი ვუერთგულო მათ.

„ნუ დაანადგვლიანებთ სული წმიდას. იყავით კეთილნი, გულმოწყალები, მიუტყვევთ ერთმანეთს, როგორც ღმერთი მოგიტყვევებთ“ (ეფ. 4:30-32). სულის ბედნიერება ჩვენზეა დამოკიდებული!

„სიყვარული სულგრძელი და ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყონობს, არ ეძიებს თავისას“ (1კორ. 13:4-5). ღმერთი სიყვარულია. ჩვენ მისი მსგავსებით ვართ შექმნილნი და თავადაც სიყვარული უნდა ვიყოთ.

იესო გვეუბნება: „გიყვარდეთ თქვენი მტრები, სიკეთით მოეპყართ ყველას და იქნებით უზენაესის ძენი, რამეთუ იგი კეთილია უმადურთა და ბოროტთა მიმართაც“ (ლუკა 6:35).

„ღმრთის სახიერებას მონანიებისკენ მიჰყავხარ“ (რომ. 2:4). მოგვმადლე, მამაო, ყოველდღიური სინანული, შენს სადიდებლად და ჩვენს გადასარჩენად.

ღონ მარო გატი

Benignita

„Rivestitevi di sentimenti misericordia, bonta, umilta, mansuetudine, pazienza, sopportandovi e perdonandovi scambievolmente“ (Col 3:12).

„Frutti delo Spirito sono amore, gioia, pace, pazienza, benevolenza, bonta, fedelta, mitezza, dominio di se“ (Gal 5:22).

„Comportatevi come figli della luce in ogni bonta, giustiza e verita, cercando cio che e gradito al Singone“ (Ef 5:8-10).

„Si sono manifestati la bonta di Dio e il suo amore, ci ha salvato mediante la sua misericordia“ (Tt 3:4-5). O Signore, facci degni della tua benignita!

„Considera le benevolenza di Dio verso di te e sii fedele a questa bonta“ (Rm 11:22). Fa, Signore, ch'io sia un terreno fertile della tua grazia.

„Signore, dimentica i miei peccati ; ricordati di me nella tua misericordiosa benevolenza“ (Sl 25:7). E che io, a mia volta, mi ricordi del tuo grande amore.

„Rispondimi, Signore, quando ti invoco. Volgiti a me nella tua grande tenerezza“ (Sl 69:17). Tu non abbandoni mai chi confida in te.

„Tu sei benevolo, Signore: insegnami i tuoi comandamenti“ (Sl 119:68) e dammi la forza di osservarli generosamente.

„Non rattristate lo Spirito Santo. Siate benevoli, misericordiosi, perdonatevi a vicenda come Dio perdona a voi“ (Ef 4:30, 32). La felicità dello Spirito dipende da noi!

„La carita e paziente e benigna, non e invidiosa, non si vanta, non cerca il suo proprio tornaconto“ (1 Cor 13:4-5). Dio e amore; noi, fatti a sua immagine, dobbiamo essere a nostra volta amore.

Esorta Gesu : „Amate chi vi vuol male e fate del bene a tutti, e sarete figli dell'altissimo, che e benevolo anche verso gli ingrati e i malvagi“ (Lc 6:35).

„La benignita di Dio ti sospinge alla conversione“ (Cfr Rm 2:4). Dacci oggi, o Padre, la nostra conversione quotidiana, a tua gloria e nostra salvezza.

Don Mario Gatti
Negrar (VR)

ჯვარცმული – გულმოწყალე უფლის სახე

სახალხო მოწიწებისა და ლიტურგიის შესახებ *საეკლესიო directiva* Via crucis, ანუ *ჯვრის გზას* შუასაუკუნეებიდან აღმოცენებული ღვთიური მოწიწების სხვადასხვა ფორმის სინთეზად წარმოგვიდგენს: მომლოცველობა წმიდა მიწაზე, რომლის დროსაც მორწმუნეები მოწიწებით მოილოცავენ უფლის ვნების ადგილებს; მოწიწება მძიმე ჯვრის ქვეშ “ქრისტეს დაცემათა” მიმართ; მოწიწება “ქრისტეს მწუხარე გზის” მიმართ, რომელიც გულისხმობს ეკლესიიდან ეკლესიაში პროცესიის დროს უფლის ვნების გზის გახსენებას; მოწიწება “ქრისტეს შეჩერებებზე”, ანუ იმ წუთებზე, როდესაც იესო ხანგრძლივად ჩერდებოდა გოლგოთისაკენ მიმავალ გზაზე, ჯალათებისგან იძულებული ან ტანჯვით დაუძღვრებული, ან სულაც იმ სიყვარულის გამო, რაც განაწყობს მას იმ მამაკაცებთან და დედაკაცებთან სასაუბროდ, მის ვნებას რომ ესწრებოდნენ.

პირველი ცნობები იესოს მიერ განვლილი “Via dolorosa”-ს ეტაპების შესახებ, 1294 წლიდან შემოგვინახა დომენიკელმა ბერმა *რიკოლდუს დე მონტე კრუცისმა*. დროთა მსვლელობაში Via crucis ეტაპებმამრავალმხრივი დამატება და ცვლილება განიცადა. 1731 წლის 3 აპრილს კლემენტე XII-მ დოკუმენტით “*Monita ad recte ardinandum devotum exercitium Viae crucis*”, განსაზღვრა თოთხმეტი შეჩერების სექვენცა, თითოეულს ტრადიციულად ერთვის ჯვრისკენ მიმავალი ქრისტეს გზის მნიშვნელოვანი მომენტი:

I. იესოს მიესაჯა სიკვდილი. II. იესო იღებს ჯვარს. III. იესო პირველად ეცემა. IV. იესო ხვდება თავის დედას. V. კვიპრიანე ეხმარება იესოს ჯვრის ზიდვაში. VI. ვერონიკა იესოს სახეზე ცრემლებს უმშრალებს. VII. იესო მეორედ ეცემა. VIII. იესო ხვდება მომტირალ დედაკაცებს. IX. იესო მესამედ ეცემა. X. იესო გააშიშვლეს. XI. იესო ჯვარზე მიაღურსმეს. XII. იესო კვდება აგონიიდან მესამე საათზე. XIII. იესო ჩამოხსნეს ჯვრიდან. XIV. იესო სამარხში დაასვენეს.

Via crucis კოლიზეუმისკენ

1750 წლის რომაული იუბილეს განმავლობაში, ეს რიტუალი შედგა კოლიზეუმის სასცენო გარემოში, რომელმაც მანამდე სახელი გაითქვა, როგორც პირველი ქრისტიანების წამების ადგილმა. ცერემონიალი მოაწყო ფრანცისკანელმა *ლეონარდო და პორტო მაურიციომ*, რომელიც ამ მადლიან საქმეს ნამდვილ პილიგრიმობად აღიქვამდა, ანუ, როგორც უყვარდა გამოთქმა, “სამოთხის კიბედ”. თუმცადა, მოწიწებას დასაწყისიდანვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი, განსაკუთრებით *ჯანსენისტების* (რომაული ცერემონიალების მიმართ ცუდად განწყობილი *მკაცრი თეოლოგიური მოძრაობა*) მხრიდან. მათ იმდენი მოახერხეს, რომ ბენედიქტელ *ჯუზეპე მარია პუჯატის* 1782 წელს გამოაქვეყნებინეს ნაშრომი, სადაც იგი მიუთითებდა Via crucis შეჩერებების ნახევართან მაინც სახარების ტექსტების შეუსაბამობას.

მიუხედავად ამისა, რვაასიანი წლების დასაწყისში მოწიწების ეს ფორმა გავრცელდა ყველაგან, თვით პატარ-პატარა მთიან ადგილებშიც, პაპების აშკარა მხარდაჭერით, რომლებშიც, განსაკუთრებით კი პაპლე VI და მოგვიანებით იოანე პაპლე II, ყოველწლიურად, წმიდა პარასკევის მწუხრზე, უკვე ტრადიციად დანერგილ შეხვედრას თავად უძღვებოდნენ.

წმიდა პარასკევის Via crucis შესრულება, ცხადია, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახალხო ქრისტიანული მოწიწებაა, რომლის უმთავრესი მიზანია პატივი მიაგოს იესოს ვნებას და, ასევე, მოამზადოს და შეუძღვეს მორწმუნეებს საპასეჟო სიხარულში. “ინდულგენციის სახელმძღვანელო” (*Manuale delle indulgenze*) პლენარულ ინდულგენციას ანიჭებს იმ მორწმუნეს, რომელიც – *წესადქცეული აღსარების, ზიარებისა და წმ. მამის ინტენციის მიხედვით ღოცვათა შესრულების გარდა* ამ რიტუალში მონაწილეობს ან მოწიწებით უერთდება მას, როდესაც პაპი ასრულებს და გადაიცემა რადიო-ტელევიზიის მეშვეობით.

სახარებისადმი უდიდესი ერთგულების სურვილმა განაპირობა, რომ ვატიკანის II კრების შემდგომ ახალი *შეხვედრები* შემოეტანათ, რომლებიც პირველად გამოიყენა იოანე პაპლე II-მ 1991 წელს კოლიზუმისკენ მიმავალ Via crucis დროს I. იესო ზეთისხილის ბაღში; II. იესო, იუდას მიერ გაყიდული, დაჭერილია; III. იესოს ბრალი დასდო სინედრიონმა; IV. იესო უარყო პეტრემ; V. იესო გაასამართლა პილატემ; VI. იესო გაშოლტეს და ეკლის გვირგვინი დაადგეს; VII. იესო ჯვარს აცვეს; VIII. სიმონ კვირინელი ეხმარება იესოს ჯვრის ტარებაში; IX. იესო ხვდება იერუსალიმელ დედაკაცებს; X. იესო ჯვარს აცვეს; X. იესო თავის სამეუფოს აღუთქვამს კეთილ ავაზაკს; XII. ჯვარცმული იესო, დედამისი და მოციქული; XIII. იესო კვდება ჯვარზე; XIV. იესო დაასვენეს სამარხში.

ყოველი *შეხვედრის* წინ და შემდეგ შესაბამისად, წარმოითქმება ვედრება: “თაყვანსა გცემთ, ქრისტე, და გაკურთხებთ, რამეთუ წმიდისა ჯვრითა შენითა დაიხსენ ქვეყანა” და “წმიდაო ღვთისმშობელო! ჰქმენ, რომ უფლის ჭრილობები, აღიბეჭდონ ჩემს გულში”. *ღირექტორიუმი* გამოხატავს დიდ სურვილს, რათა “Via crucis იმგვარად დასრულდეს, რომ მორწმუნეებს აღდგომის მოლოდინი, სავსე რწმენა და იმედი ჩაესახოთ”; სწორედ ამის გამო დაემატა მას XV *შეხვედრა* - “უფლის აღდგომის მოსაგონარი”.

Via crucis მოდელზე მომზადდა Via matris, რომელიც 1884 წელს შეიმუშავა ლეონ XIII-მ. სულ არის შვიდი *შეხვედრა*: I. სიმეონის წინასწარმეტყველება; II. ეგვიპტეში გაქცევა; III. იესოს დაკარგვა; IV. იესოსთან შეხვედრა; V. იესოს ჯვარცმა; VI. ჯვრიდან გარდამოხსნა; VII. იესოს დამარხვა. ყოველი *შეხვედრის* შემდეგ წარმოითქმება “გიხაროდენ მგლოვიარე მარიამ, ჯვარცმული შენთანა, ღირსეულ ხარ შენ თანაგრძნობისა დედათა შორის და ღირსეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა იესო. წმიდაო მარიამ, დედაო ჯვარცმულისა, მოგვეც ჩვენ, შენი ძის ჯვარცმელებს, გულით მონანული ცრემლები, აწ და ჟამსა სიკვდილისა ჩვენისა. ამინ” და “მარიამ მგლოვიარეო, ჩემო კეთილო, აღბეჭდე ჩემს გულში შენი ტკივილი”.

Via lucis – ნათლის გზა

ყველაზე უახლესი მოწიწების ფორმა გახლავთ Via lucis, რომელიც Via crucis გაგრძელებად და დამგვირგვინებლად შემოგვთავაზებს. ყოველი *შეხვერების* წარმოთქმისას წამყვანი ამბობს: “თაყვანსა გცემთ, აღმდგარო იესო, და გაკურთხებთ შენ”, დამსწრენი მიუგებენ: “რამეთუ აღდგომითა შენითა სიცოცხლე შესწირე ქვეყანას”. სულ არის თოთხმეტი შეხვერება: I. იესოს მკვდრეთით აღდგომა; II. მოციქულები ცარიელ სამარხს ნახულობენ; III. აღმდგარი იესო მარიამ მაგდალინელს ეჩვენება; IV. აღმდგარი იესო ემმაუსის გზაზე; V. აღმდგარი იესო განსტეხს და უბოძებს პურს; VI. აღმდგარი იესო ცოცხლად ეჩვენება მოციქულებს; VII. აღმდგარი იესო ცოდვათა მიტევების ძალას იძლევა; VIII. აღმდგარი იესო ეხმარება თომას რწმენის განმტკიცებაში; IX. აღმდგარი იესო ტიბერიუსის ზღვაზე მოვევლინება მოწაფეებს; X. აღმდგარი იესო პირველობას ანიჭებს პეტრეს; XI. აღმდგარი იესო ქვეყნიერებაზე საქადაგებლად მიავლენს მოწაფეებს; XII. აღმდგარი იესო ზეცად ამადლდება; XIII. მარიამთან, სულიწმიდის მოლოდინში; XIV. აღმდგარი იესო დაპირებულ სულს აგზავნის.

წმიდა ბერნარდეს, თავად იესო ქრისტემ მიანიშნა იმ მოწიწებაზე, რომელიც ვნების მოსაგონებლად ისურვა. *კიარავალეს* აბატმა ლოცვისას ჰკითხა უფალს, თუ რომელი იყო მისთვის ყველაზე გაუსაძლისი ტანჯვა და პასუხად მიიღო: “ჯვრის ტარებით ზურგზე გაჩენილი ჭრილობა სამი თითის და სამი ძელის სიღრმეზე. ამ ჭრილობამ ყველაზე დიდი ტკივილი მომაყენა და ხალხმა ეს არ იცის. შენ გაუმჟღავნე იგი ქრისტიან მორწმუნეებს და იცოდე, რომ რა წყალობაც არ უნდა ითხოვონ ჩემგან ამ ჭრილობის სახელით, მიენიჭებათ; ყველა მათგანს, ვინც მის გამო თაყვანს მცემს, სამი “მამაო ჩვენოს”, “გიხაროდენის” და “დიდებას ...” ლოცვით, მივუტევებ მძიმე ხორციელ ცოდვებს, არ გავუხსენებ მათ უმძიმეს ცოდვებს და არ დაიდუპებიან ისინი მოულოდნელი სიკვდილით; სიკვდილის უამს მათ ინახულებს ნეტარი ქალწული, და ისინი მიიღებენ წყალობასა და გულმოწყალებას”. ამ ლოცვისათვის წმ. ბერნარდემ შემდეგი ვედრება შეადგინა: “ყოვლადსაყვარელო უფალო, იესო ქრისტე, კეთილო კრავო ღმრთისაო. მე, საწყალი ცოდვილი, ვეთაყვანები და მოწიწებით ვდგავარ, გოლგოთის გზაზე უმძიმესი ჯვრის ზიდვით, შენს ზურგზე წარმოშობილი შენი უწმიდესი ჭრილობის წინაშე, საიდანაც მოჩანს სამი უწმინდესი ძვალი. შენ ამ ჭრილობით გასაძლისი გახადე უზომო ტანჯვა.. გვედრები, ამ ჭრილობის გამო და წყალობით, გაიღე გულმოწყალება ჩემზე, მომიტევე ყველა ჩემი სულიერი და ხორციელი ცოდვა, იყავ სიკვდილის უამს ჩემი შემწე და წამიყვანე შენს ნეტარ სამეუფოში. ამინ”.

მეუფე გაბრიელე ბრაგანტინი

სიყვარული უწინარესია

მინდა გავიხსენო დედა ტერეზას სიტყვები: „რას ნიშნავს სიღატაკე? უპირველეს ყოვლისა, პურის, ტანსაცმლის, თავშესაფრის უქონლობას. მაგრამ, ამას გარდა, არსებობს უფრო დიდი სიღატაკე: იყო განკიცხული, შეზიზღებული, არ გყავდეს არავინ, რომელსაც შენიანად, ახლობლად მიიჩნევდეს“.

მართლაც, რამდენი მარტოსული ადამიანი ცხოვრობს ჩვენს ქვეყანაში! გული მიკვდება, როდესაც მათ სახეებს ვუყურებ. მათი თვალებიდან ბევრი რამის ამოკითხვას შესაძლებელი. ისინი ყოველთვის მზად არიან, თავიანთი წარსული გაიმბონ, გულისტკივილი გაგიზიარონ, მაგრამ ვუსმენთ ჩვენ მათ?

ყოველი ჩვენგანი ვალდებულია ღმრთის წინაშე სულიერად და მატერიალურად დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომელთაც ასე ძალიან სჭირდებათ ჩვენი თანაგრძნობა და, რაც მთავარია, სიყვარული. ასეთ ადამიანებთან ხშირად მქონია კონტაქტი, ბევრს გადაუშლია ჩემთვის გული და მათი წარსული მართლაც მტკივნეულია. ბევრ მათგანს უთქვამს, დროის დაბრუნება რომ შეგვეძლოს, ყველაფერს თავიდან დავიწყებდითო. მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანი უფრო და უფრო იძირება ნარკომანიის, გარყვნილებისა და ლოთობის მორეკში. ჩავიხედოთ ყველამ საკუთარ გულში და შევიცნობთ ჩვენს საკუთარ დანაშაულს, ისინი ხომ ჩვენგან არაფრით განსხვავდებიან.

“ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულნი იქნებიან”. კარგად ჩავწვდეთ ამ მოწოდებას და ვეცადოთ, შეძლებისდაგვარად, მისი განხორციელება. გვიყვარდეს ერთმანეთი, ისე როგორც უფალმა შეგვიყვარა ჩვენ და დავიპყროთ მსოფლიო ერთმანეთის სიყვარულით.

ნინა კაპილოვა
ბათუმი

ქალთა საერთაშორისო დღე

ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით გვსურს შემოგთავაზოთ ორი სტატია, რომელთა მეშვეობითაც ნათელს მოვფენთ მსოფლიოში ქალის მდგომარეობის ორ ასპექტს: პოზიტიურს და საჭირობორტოს. სამწუხაროდ, ორივე ასპექტი ნაკლებად ცნობილია საზოგადოებისათვის. პირველი გვესაუბრება ქალის როლზე ქრისტიანულ თეოლოგიაში, ხოლო მეორე ქალებთან მიმართებაში თანამედროვე მონობის ახალ ფორმაზე.

ამ ნომერში შემოგთავაზებთ მხოლოდ ერთ სტატიას, მეორეს კი „საბას“ მომდევნო ნომერში იხილავთ

პირველი ათასწლეულის ქალები

ახალი აღთქმა, ძველი აღთქმის მსგავსად, მდიდარია ქალთა პერსონაჟებით. მოდით, ვიკითხოთ: ისინი თეოლოგები იყვნენ? ცხადია, არა. ძველი აღთქმა ბრძენ და გონიერ დედაკაცებს წარმოგვიდგენს; მართალია, ცხოვრებისეული სიბრძნის მიუხედავად, ეს ქალები პროფესიულად არ იყვნენ გაწაფულნი ღმრთის სიტყვაზე მედიტაციების ჩასასტარებლად და საღმრთო უწყებების გასაცხადებლად, მაგრამ ზოგჯერ მათი გამჭრიახობა გარდაუვალ ეტაპად ქცეულა ღმრთის ხალხის თვითშეცნობაში. მღვდელმსახურთა, მეფეთა და წინასწარმეტყველთა გრძელ რიგში ქალები მართლაც რომ გამონაკლისს წარმოადგენენ.

წინასწარმეტყველი ქალი ხულდა (26ეშტ. 34,22-28), – ვის ნიჭსაც უნდა ვუმადლოდეთ რჯულის წიგნის მოპოვებას, – გამორჩეულია სწორედ ამ სიმბოლურობით. ასეთივე სიმბოლურობით გამოირჩევიან ის ქალები, რომელთა ბაგებიდან გაისმის მადლიერებისა და ქების საგალობლები: მირიამი – მოსეს და, დებორა – ისრაელის მსჯული, ანა – სამუელის დედა; ივდითი – შეუპოვარი და გაბედული ქალი... და სხვა დედაკაცები; ღმრთის სიტყვის გააზრებით და მიღებით, ისინი ღმრთის გამომსყიდველ საქმეს უგალობენ, ხალხთა სვებედში მის საქმეს ადიდებენ.

არც ახალ აღქმაშია ანალოგიური ფიგურების უკმარისობა. ნაზარეველი მარიამის პირით გაცხადდება “ადიდებს”; ლუკა მახარობელი აღწერს, რომ მარიამი გულში იმარხავდა იმ მოვლენებს, რისი მოწმეც თავად იყო.

ახალი აღქმაც, უმეტესად იგავური კუთხით, დედაკაცებს კვლავ მოიხსენებს გონივრულობისა და სიბრძნის კონტექსტში. კონკრეტული ქალებიც გვხვდებიან, რომელთა გზებიც იესოს გზებს გადაკვეთენ. ცხადია, ისინი არ არიან პროფესიონალი ღმრთისმეტყველნი, მაგრამ მათ შესწევთ უნარი განსხვავებული აზრები დამაჯერებლად წარმოთქვან (ქანანელი ქალი) ან თეოლოგიური დატვირთვა მიანიჭონ (სამარიტელი ქალი). პირველქამინდელი ქრისტიანული საკრებულო სახარების უწყებაში მოწაფეების, როგორც მამაკაცთა, ასევე დედაკაცთა, თანასწორუფლებიან ეტაპებს იცნობს; ისევე როგორც ინაწილებენ თანაბრად მარტვილობისა და ასკეტიზმის პერიოდებს მამაკაცები და დედაკაცები.

ცხადია, განსხვავებულ და საპირისპირო მაგალითებსაც მრავლად შევხვდებით. მაგალითად, ვერ უარყოფთ ქალთმოდულებობის იმ მაგალითიებს, რასაც საღმრთო წერილში ვაწყდებით. სხვაგვარად როგორ შეიძლება ზოგიერთი იმ გამოთქმის ახსნა, რაც სიბრძნის წიგნებისა თუ სამოციქულო წერილებში საოჯახო კოდექსებისთვის არის დამახასიათებელი? ხშირად ტრადიციული ქალთმოდულებობის წინაშე გაღებული ხარკი, ორაზროვნად, თანასწორუფლებიან პირობას აყენებს, თუმცაღა დედაკაცები აქაც ვერ აღწევენ ტრიუმფს. მოგვიანებით, ახალი აღთქმის ფორმირების პროცესში, აცრთუ სახარბიელოა “ასკეტიური თანასწორუფლებიანობა”. ასკეტიზმი გმობს სექსუალობას, და მასთან ერთად ქალს, ვისი სხეულიც მყისიერად იგივდება სექსთან.

აქ უნდა გავიხსენოთ ტერტულიანეს მკაცრი სიტყვები: “დედაკაცო, შენ სიმწრით და სევდით შობ; შენ აღძრავ შენს მეუღლეში სურვილს და იგი შენი პატრონია. ნუთუ უარყოფ, რომ ხარ ევა? ჯერაც ქმედითია შენს სქესზე დადებული ღმრთის სასჯელი. შენ ყოველმხრივ ბრალდებული ხარ. შენ ეშმაკის კარი ხარ, შენ ამოტვიფრე ხეზე ნაჭდვეი, შენ პირველმა უარყავი ღვთის

რწული, შენ გააცურე ის, ვინც ეშმაკმა ვერ მოხიბლა, შენ ძლიე ადამიანს – ხატებას ღმრთისას! შენი სასყიდელი – სიკვდილი, სიკვდილის ფასად დაუჯდა თვით ღმრთის ძეს” (*ქალების სინატიფე, I,1-2*).

ერთი შეხედვით, ამ კულტურულ ორომტრიალში, ქალის დამცირებისა და ხოტბის შერახცვის ამ პარადოქსულ ნაზავში, რისი შექმნაც მხოლოდ ქრისტიანობას გამოსდის, მორწმუნეთა საკრებულო ამჩნევს ენერგიულ და აქტიურ დედაკაცებს, არა მხოლოდ გამჭრიახებსა და ბრძენებს, არამედ “თეოლოგებს”, ამ ტერმინის პროფესიული დატვირთვით.

მართლაც, საუბარია იმ დედაკაცებზე, რომლებმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნეს საღმრთო წერილის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას. უწინარესად, აღსანიშნავია ადვენტინოს ქალბატონები (Dame dell’Aventino), წმ. იერონიმეს წრიდან. ეს არისტოკრატი და განათლებული ქალბატონები, დაბადებიდანვე ეწაფებოდნენ ბერძნულ ენას, შემდეგ კი ებრაულს. მათ იმ დონეზე გაიღრმავეს ცოდნა საღმრთო წერილში, რომ ან “მოძღვრებად” იქცნენ, ან იმგვარ ინტელექტუალურ დასკვნებს აკეთებდნენ, რომელთა მიმართაც თვით წმ. იერონიმეც კი ვერ იჩენდა გულგრილობას ბიბლიის ლათინურად თარგმნისას.

მდიდარი რომაელი ქვრივი მარსელა, რომელმაც ხელი მიჰყო ბიბლიის კვლევას და ზოგიერთი მისი მეგობარი ქალბატონი, სწორედ იერონიმეს სახით ხედავენ იდეალურ მასწავლებლებს; ხოლო ეს უკანასკნელი, – მამაკაცებში წარუმატებელი თავისი ფეთქებელი, გამაღიზიანებელი და მოუთმენელი ხასიათის გამო, – იქცევა თვინიერ და საყვარელ ადამიანად, თითქოს ცდუნდება კიდევ ამ კეთილშობილი ქალებით, რომლებიც მას საღმრთო წერილისადმი სიყვარულის გამო დაუახლოვდნენ.

ადვენტინოს უკლებლივ ყველა ქალბატონის სურვილი გახლდათ ბიბლიაში ჩაღრმავება. მათ სურთ ბიბლიის თავდაპირველი წყაროს გაცნობა. იერონიმეს დიდი ძალისხმევით ისინი სწრაფად ეუფლებიან ებრაულ ენას.

ხომ არ აქარწყლებს იერონიმეს ქალთმოძულეობას ამგვარი ნაცნობობა? არა გვეგონია. ყოველშემთხვევაში, არა კულტურული კუთხით. თავისი თანამედროვე წმ. ამბროსის მსგავსად, წმ. იერონიმე ქალებს, ემანსიპაციის ერთადერთ შესაძლო გზად თავშეკავებას მიუთითებს.

ვირჯინია გულფამდე ჯერ კიდევ საუკუნეებით ადრე, იერონიმე თავის მოწაფე ქალბატონებს შესთავაზებს უტოპიას სახელწოდებით – “ოთახი, მთლიანად ჩემთვის”, სადაც მათ შეუძლიათ განმარტობა და ღმრთიურ სიბრძნესთან მიახლოება.

დიას, ქრისტიანობა არ ურყოფს ქალების “სიბრძნეს”, სიბრძნის წყურვილს, “ჭეშმარიტი ფილოსოფიის” მიმდევრობას. გავისხენოთ *მეთოდეს* “ნადიმი” და მის მიერ მოსაუბრეთა სქესის პარადოქსული შეცვლა. თუკი პლატონის “ნადიმში” საპატიო სტუმრად მონაწილეობს მხოლოდ მღვდელმთავარი ქალი *დიოტიმა*, მეთოდეს სიმპოზიუმში “სათნობაზე” წყურვილს მხოლოდ და მხოლოდ ქალბატონები იკლავენ, “ქალწული” დედაკაცები. ესენი ის ქრისტიანი დედაკაცები გახლდნენ, რომლებმაც არჩიეს გასცლოდნენ სხეულის, შეიღოსნობის, ქორწინების, მამაკაცზე კულტურული ზეგავლენის ფორმებს.

სწორედ *ქალწულობა* გახლდათ დიდი შესაძლებლობა, რაც დედაკაცებს ებოძათ წმიდა მამათა ეპოქაში. მხოლოდ იმ დედაკაცებს, რომლებიც იცავენ მას, უფლება აქვთ შემეცნებისა და სიტყვის გამოხატვისა. დედაკაცთა წრეში, რომელიც განთქმული გახლდათ თავისი სიწმიდით, *ბიბლია* უდიდესი პატივით იყო დაცული, წაკითხული, გააზრებული, და სიღრმისეულად შესწავლილი, ვინაიდან შეუძლებელი იყო სულიერების გრძნობა იმ იარაღების გარეშე გამოწვეულიყო, რაც ბიბლიურ ტექსტებს სჭირდებოდა. წმიდა მამათა თანამედროვე არისტოკრატი ქალები ამ უფლებით სარგებლობდნენ, თუმცაღა მათი ნაწერებიდან თუ თქმულებიდან აღარაფერი შემორჩენილა. და თუ პალესტინაში შემორჩა წერილი, რასაც პაოლა და ეუსტოქია მარსელას წერდნენ, ეს უთუოდ იმიტომ, რომ თავად იერონიმემ დაწერა!

შესწავლილი იქნა ქალების პორტრეტები წმიდა მამათა ნაწერებში. ხშირად, როგორც უკვე ითქვა, ქალები მათ თავიანთი მეთოდებით ხიბლავდნენ; უფრო ხშირად თავიანთი კომპეტენციით. რასაკვირველია, ამბროსის, იერონიმეს, აგუსტინეს და სხვა მრავალი მამის წერილები, ეპიტაფიები ან მინაწერები ბიბლიაზე, რასაც ისინი მეგობრობის ნიშნად უძღვნიდნენ ქალბატონებს ან მონაწილეობდნენ ინტელექტუალურ სერობებში, ფარდას ხდის ამ ქალბატონების კულტურულ სიღრმეებს, მათ ღირსებას ბიბლიაზე უპირატესობის მინიჭების გზით.

აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მარცინა, ვისაც წმ. გრიგოლ ნოსელი გვაცნობს როგორც *he didaskalos* (მასწავლებელი), მას უპირველესად მიაწერენ თავის ძმა ბასილზე აღმზრდელით გავლენას. ის საუბრები, რასაც შემდგომ ბასილი უკვე წარმოსახვაში ასრულებს თავის მომაკვდავ დასთან, ღრმად ინტელექტუალურ თანასწორობაზე მეტყველებენ. აღნიშვნის ღირსია ასევე პალესტინაში ლათინური ბერ-მონაზონობის ორი სახელოვანი წარმომადგენელი, ორივე მეღანი, ბებია და შვილიშვილი. ამ უკანასკნელის შესახებ ბიოგრაფი მოგვითხრობს, რომ ჩვეულებრივ იგი აღგენდა ტექსტებს თავისი საკრებულოსათვის, აკეთებდა ბიბლიის კომენტარს და შენიშვნებს. სამწუხაროდ, შთაბეჭდილებების გარდა, არაფერი არ შემორჩა, ისევე როგორც, უკვალოდ გაქრა იოანე ოქროპირის მეგობრის დიაკონესა ოლიმპიას მიერ იოანესადმი გადასახლებაში მიწერილი წერილები. სწორედ მას მიუძღვნა გრიგოლ ნოსელმა თავისი კომენტარი *ქებათა ქებანზე*.

პირველი საუკუნეების ქრისტიანობაში კვლავ აქტიურად ჩანან ქალთა სახეები. მათ სიბრძნესთან სიახლოვეს ემბლემად ადგას ეკატერინე ალექსანდრიელი, ახალგაზრდა “ფილოსოფოსი”, ტრადიციის მიხედვით IV საუკუნის პირველი ნახევრის მოწამე, რომელიც უშიშრად ხვდება წარმართულ სიბრძნეს. ქალებიდან თითქმის არავითარი ნაწერი არ შემოგვრჩა. თეოლოგიური, ლიტერატურული ნაშრომი ალბათ მაინც ეკუთვნის *ეგერიას*, რომლის *მოგზაურობის დღიური* განსაკუთრებულად ძვირფასია IV საუკუნის პალესტინის ლიტურგიული ტრადიციისათვის. ამ ლიტერატურული ჟანრის ქრისტიანული პროტოტიპი, რომელსაც ისტორიოგრაფი სიამოვნებით ანიჭებს პირველობას, ეგერიას დღიური უშუალო და ენერგიულია, აქტიური და ამადელვებელი. მოკლედ, ამოწმებს იმას, რომ ეკლესიის გამოცდილება სულ სხვაგვარია, თუკი მას ქალები გადმოსცემენ

შეგვიძლია თეოლოგები ვუწოდოთ ინგლისელ მონაზვნებს, რომლებიც VIII საუკუნეში ევროპაში მისდევნენ ბონიფაციუსს, რათა ევანგელიზაციაში მხარში ამოუდგნენ მას? ცხადია, ესენი განსწავლული ქალები არიან. მათმა წერილებმა ჩვენამდე მოაღწია. თუმცა ეს კვალი თითქმის უხილავია; კვალი, რომელიც მამაკაცთა ძლიერმა ნაკადმა წაშალა. თუმცა ის რაც შემოგვრჩა, ფასდაუდებელია... აღსანიშნავია, ბიზანტიის იმპერატორ თეოფილეს (IX სკ.) არშემდგარი პატარძლის, მონაზონ კასიას საგალობლები, რასაც დღემდე გალობენ ბიზანტიურ ეკლესიაში.

ყველა ეს ქალბატონი საკუთარი ეპოქის კულტურულ კონტექსტთან არის დაკავშირებული. თუმცა ყველა როდი აღწევს ადვენტინოს ქალბატონების სიმაღლეს. დაუვიწყარია სახელი თეკლა, პავლეს მეგზური, წამებულთა სახელები, დედების, პატარძლების, ქალბატონების სახელები, რომლებიც წამებით ამოწმებენ ქრისტიანულ რწმენას.

მოხალისეთა სამსახური საქართველოში

მე გახლავართ და კორინა – საქართველოში მოღვაწე კამილიელთა ორდენის წევრი. ჩვენ საქველმოქმედო საქმიანობა 2001 წელს დავიწყეთ. ეს წელი მოხალისეთა წლად იყო გამოცხადებული.

ყოველ დღით ორ მოხალისესთან ერთად დავდივართ გაჭირვებულ ოჯახებში, სადაც არიან მწოლიარე ავადმყოფები, დავდივართ მარტოხელა მოხუცებთან, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან, რომელთაგან ბევრი მამამ მიატოვა (ზოგიერთის მამა საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ, იქ ახალი ცხოვრება დაიწყო და ოჯახს აღარ დაუბრუნდა).

ყოველდღიურად ხუთ ოჯახს მაინც ვსტუმრობთ. ჩვენი სამუშაოა ავადმყოფის მოვლა (მისი პირადი ჰიგიენა, დაბანა და სხვა). ძალიან ხშირად გვიწევს ისეთი ავადმყოფების მოვლა, რომლებსაც საშინელი ნაწოლები აქვთ. თუ ავადმყოფს ექიმის კონსულტაცია სჭიდება, ჩვენს პოლიკლინიკაში მიგვყავს ანალიზების გასაკეთებლად, ექოსკოპიის, რენტგენის და სხვა გამოკვლევების ჩასატარებლად. თუ თავად არ შეუძლია პოლიკლინიკაში მოსვლა, მასთან ბინაზე მიგვყავს ექიმი. მარტოხელა მოხუცებს ვუვლავებთ და ვუსუფთავებთ ბინას, ვუმზადებთ სადილს. ვინაიდან ხშირად არ არის შუქი, მიგვაქვს შეშა, ან ვყიდულობთ გაზის ბალონებს და ნავთს მათთვის, ვისაც შეშის ღუმელი არა აქვს. თუ ავადმყოფებს ისეთი წამლები სჭირდებათ, რომლებიც ჩვენს პოლიკლინიკაში არ გვაქვს, საგანგებოდ ვყიდულობთ მათ. ასევე ვურიგებთ გაჭირვებულებს საკვებ პროდუქტებს და ტანსაცმელს, რომლებიც იტალიიდან იგზავნება საქველმოქმედო მიზნით.

იმ პენსიით, რომელსაც ეს ადამიანები იღებენ, შეუძლებელია ცხოვრება. მრავალ მათგანს მხოლოდ მადლობის გადახდა თუ შეუძლია იმ დახმარებისათვის, ჩვენ რომ ვუწევთ. ხშირად მეუბნებიან, რომ ამ დახმარების გარეშე ვერ იარსებებდნენ. ერთ ოჯახში სამი ავადმყოფი პენსიონერია, და მითხრეს, რომ მათი სამივე პენსია ჰყოფნით მხოლოდ 10 დღეს, თვის დანარჩენი დღეებში კი თავი გააქვთ ჩვენი დახმარებით, მომავალი პენსიის მოლოდინში, რომელიც არაერთხელ იგვიანებს.

მოხალისეობის პირველ პერიოდში, მასსოვს, შევხვდი ერთ მწოლიარე კაცს, განგრენიანი ფეხით, რომელსაც შაქარი ჰქონდა და სიკვდილს ელოდა სახლში, ვინაიდან საამპუტაციო ფული არ ჰქონდა, ოპერაცია ძვირი იყო, სახელმწიფო კი არავითარ დახმარებას არ ჰპირდებოდა. შემძრა ამ პასუხმა. საქართველოში, მოგეხსენებათ, საავადმყოფოში უფასოდ წნევასაც კი არ გაგიზომებენ, ნემსის გაკეთებამდე კი გადახდაა საჭირო. მართლაც შემადრწუნებელია. ამგვარად, უამრავი ადამიანი სახლში კვდება, ვინაიდან სამკურნალო თანხები არ გააჩნიათ. ერთი ქალი ნაწლავების გადახლართვით სახლში გამოეშვათ საოპერაციო თანხის უქონლობის გამო. ყვებოდა თავის ამბავს და თან ტკივილისაგან ტიროდა. წავიყვანე საავადმყოფოში, ვესაუბრე საავადმყოფოს ნაცნობ დირექტორს და დავპირდი, რომ ყველაფერს, რაც საჭირო იყო ოპერაციითვის, მე მიუტანდი, ამგვარად გაუკეთეს ოპერაცია. მსგავსი შემთხვევები საქართველოში, სამწუხაროდ, იშვიათობას არ წარმოადგენს.

ქმყოფილი ვარ, რომ ვემსახურები უფალს ამ გაუსაძლის პირობებში მყოფ ხალხში; უფალი ყოველთვის მახვედრებს გზაზე გაჭირვებულებს და აგრეთვე იმ სულგრძელ ხალხსაც რომლებიც მზად არიან დაეხმარონ მათ. მუდამ უფლის განგების იმედით ვართ.

მოხალისეობის მსურველებს შეგიძლიათ, დამიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 602908

გულით გმადლობთ ყველას, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

და კორინა

მოხალისეობა

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საბა“, № 1, 2007 წელი)

რატომ უნდა ვიყოთ მოხალისეები

ქრისტიან ადამიანს თავისი რწმენა სტიმულს აძლევს იყოს მოხალისე, დაამოწმოს თავისი რწმენა საკუთარი ცხოვრებით და გაუნაწილოს იგი მოყვასს, როგორც ამას აკეთებდა ქრისტე.

ქრისტიანი ხედავს, რომ ქველმოქმედება, რომელსაც დღეს აკეთებს, დაეხმარება მომავალში სამართლიანობის დამყარებაში.

მოხალისეობა დაიბადა გაჭირვებულთა არსებობის გამო. გაჭირვებას რამდენიმე სახელი აქვს: მარტოხელა, ხანდაზმული, დაუცველი, ფიზიკურად და ფსიქიკურად დაავადებული, ექსპლოატირებული, უმუშევარი, ლტოლვილი, კონფლიქტის ზონაში მცხოვრები, ცუდ პირობებში მყოფი.

მოხალისე ამბობს: “მე მაინტერესებს გაჭირვებულთა მდგომარეობა და, რელიგიური მოტივებიდან გამომდინარე, ან, უბრალოდ სოლიდარობის გამო, შინაგანად განვიცდი ამ პრობლემას... მე ვწირავ ჩემს თავს მათი გაჭირვების დაძლევისათვის. მე მინდა, რომ მდგომარეობა შეიცვალოს“.

მოხალისეს სურს, აჩვენოს სხვებს, რას აკეთებს, რატომ აკეთებს, შეცვალოს საზოგადოების მიდგომა მისი საქმიანობისადმი და გამოიყვანოს ადამიანები გაჭირვებიდან.

მოხალისე არის ცვლილებების მომხდენი ძალა!

სახელმწიფო მარტო ვერასდროს უპასუხებს საზოგადოების მოთხოვნებს ადეკვატური მომსახურების არქონის გამო. ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო ადრე თუ გვიან უპასუხებს საზოგადოების მოთხოვნებს, მაგრამ ადამიანი არ არის მანქანა. მისი განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, მას სურს, რომ ის უყვარდეთ. მოხალისე არ იკავებს სახელმწიფოს ადგილს, არ იჭრება მის კომპეტენციაში. მოხალისემ იცის, რომ მისი ფუნქციაა გააცოცხლოს ადამიანური თანაგრძნობა და ამ თანაგრძნობითა და სიყვარულით გაათბოს სახელმწიფო ბიუროკრატის ცივი სხეული.

მოხალისემ უნდა შეცვალოს ცხოვრების წესი, შეახსენოს სახელმწიფოს, რომ ქვეყნის ჭეშმარიტი წყარო ადამიანია და რომ ის ერთადერთი რესურსია, რომელიც შეიძლება მუდმივად გაიზარდოს.

აუცილებელია, რომ ყოველმა მოქალაქემ იგრძნოს ვალდებულება, დაეხმაროს გაჭირვებულებს: „ყოველი ადამიანის ტანჯვას მეც ვგრძნობ, ყოველ მარტოხელა, მოხუც ადამიანში, ყოველ შეუძლოდ მყოფ ადამიანში მე ვარ“.

ამგვარი სოლიდარობა გვეხმარება გულუხვად გავცეთ და დავძლიოთ ჩვენი პირადი, ეგოისტური ინტერესები. ჩვენ დღეს ვცხოვრობთ ისეთ რეალობაში, როცა ადამიანები უარყოფენ ერთმანეთს, რადგან მათ არ იციან, თუ როგორ თანაუგრძნონ და როგორ მიიტანონ გულამდე სხვათა სატკივარი. მათი ურთიერთობა მხოლოდ სიბრაღულით შემოიფარგლება.

მოხალისესთვის „თავისუფალი დრო“ უნდა გახდეს „ზრდის დრო“. იგი დარწმუნებულია თავის არჩევანში, არ გაურბის რეალობას და განმსჭვალულია ადამიანური ღრმა გრძნობით. მოხალისეს შეუძლია განავითაროს სიბრაღულის გრძნობა, ყურადღება მიაქციოს სხვის ტანჯვას და ბედს, რაც, თავის მხრივ, დაძლევეს ეგოიზმს.

მოხალისე, იყენებს რა თავის შესაძლებლობებს, ცდილობს გადაჭრას გარკვეული პრობლემა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ პრობლემის გადაჭრის, ან სახელმწიფოს მხრიდან ამ პრობლემით დაინტერესების შემდეგ, მოხალისე უნდა გაქრეს. პირიქით, მან უნდა გარდაქმნას საკუთარი თავი ახალი პრობლემების დაძლევისათვის.

მოხალისეობის ადგილი

მას შემდეგ, რაც შევიცნობთ საზოგადოების მოთხოვნებს, ავირჩევთ მოხალისეობის შემდეგ შესაძლო ადგილებს:

- ხანშიშესული და ავადმყოფი ადამიანები საკუთარ სახლებში;
- ხანშიშესული და ავადმყოფი ადამიანები საგანგებო დაწესებულებებში, პანსიონატებში;
- ტოქსიკომანები;
- უსახლკარო ალკოჰოლისტები;
- პატიმრები;
- უძლური ადამიანები;
- ოჯახები, რომელთაც დახმარება სჭირდებათ;
- სიმსივნით დაავადებულები;
- ქუჩის ბავშვები;
- სამოქალაქო თავდაცვა, უსაფრთხოება;
- ეკლესიაში დახმარება;

- მუდმივი დიაკონია;
- კატეხისტი;
- ქორწინებისათვის მომზადება;
- სამრევლოს ახალგაზრდების ანიმატორი;
- კვება, კარიტასის სხვა საქმიანობა.

ქველმოქმედ ადამიანებზე მოთხოვნა მრავალ ადგილზე შეიძლება იყოს საჭირო.

როგორ განვახორციელოთ მოხალისეობა

- ინდივიდუალურად,
- უმჯობესია ჯგუფურად.

ჯგუფურად მუშაობა ძალზე მნიშვნელოვანია. მაქსიმუმი, რაც მარტო მომუშავე მოხალისემ შეიძლება განახორციელოს, ეს არის მოწმობა. ძნელია, არსებული რეალობიდან გამოყო ელემენტები, რომლებიც უნდა შეიცვალოს, ჯგუფში მუშაობა კი საშუალებას გვაძლევს:

- უზრუნველყოთ შეუწყვეტელი მსახურება;
- უფრო ადვილია, გავლენა მოახდინო საზოგადოებრივ აზრზე;
- ურთიერთდახმარება მოხალისეებს შორის;
- ჯგუფის შიგნით შესაძლებელია მიღწეულ იქნას ადეკვატური დახმარება.

იმისათვის, რათა უკეთესად განვახორციელოთ მოხალისეობა, აუცილებელია:

- თანაგრძნობა;
- არ უნდა გამოხატო დიდი ემოცია (საწყალი, ღარიბი...); ეს საშიშია, რადგან ამით შეიძლება შეურაცხყო ადამიანი. არ უნდა მოექცე მას გულგრილად;
- პატივი უნდა სცე ადამიანის ღირსებას: ის ჩემნაირია, ის მე ვარ;
- საჭიროა წინასწარ კარგად გავაცნობიეროთ ჩვენი შეხედულებები, ჯანმრთელობა, ხასიათი, დრო, მზადყოფნის უნარი, საოჯახო მდგომარეობა.

ურთიერთობის მნიშვნელობა:

- უნდა იმუშაო ხალისით;
- როცა გავცემთ რაღაცას, პარალელურად ვიდებთ. რა გულითაც გავცემთ, იმ გულით ვიდებთ;
- უანგარო მოხალისეობრივი ურთიერთობა სხვებთან, რეალური ნიშანია ქველმოქმედებისა და მოაქვს მადლი.

ინფორმაციის საჭიროება:

- მხოლოდ ადამიანთა პრობლემების, მათი შესაძლებლობების გაცნობით არის შესაძლებელი მათი დახმარება.

გჯეროდეს იმისა, რასაც აკეთებ

– ჩვენ არავინ გვაიძულებს, ვიყოთ მოხალისეები, ამას ვაკეთებთ სხვისი დახმარების მიზნით და, თუ ჩვენ მორწმუნეები ვართ, მაშინ ღმრთის გულისთვის.

– ჩვენ არ უნდა ვგრძნობდეთ თავს დელეგატებად, არამედ ადამიანებად, რომლებიც საკუთარი დიდი სურვილით მუშაობენ ადამიანური გულგრილობის წინააღმდეგ.

– ყველაზე მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელსაც განვიცდით საზოგადოებაში სხვა ადამიანების მიმართ.

გულია შედარება

– ჩვენ ვადარებთ საკუთარ თავს იმ ადამიანებს, რომლებიც იბრძვიან ადამიანური თავისუფლებისათვის. ამავე დროს, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ, როგორც მორწმუნეებმა.

– სხვებს არ უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ისინი ვერ ხედავენ იმას, რასაც ჩვენ ვხედავთ. მიუხედავად იმისა, ისინი მოხალისეები (ჩვენნაირები) იქნებიან თუ გაჭირვებულები.

– ჩვენ ძალდაუტანებლად ვუღებთ გულს დიალოგს, გვერდს ვუვლით ყოველგვარ გარეგნულ ეტიკეტებს.

უანგარო მსახურება

– მოხალისეობის არსებობა წარმოადგენს დამატებითი მსახურების საშუალებას. ეს სამსახური არაფერი ღირს. ეს, თავისუფალი, უსასყიდლო მსახურება ხორციელდება ადამიანთა საზოგადოებაში. მოხალისეობა პრინციპულად განსხვავდება იმ საქმიანობისაგან, რომელსაც ჩვენ წარვმართავთ რაღაცის მისაღებად – ეს არის საკუთარი შესაძლებლობების გაცემა არაექვივალენტურად. ეს არის ფასეულობა, რომელსაც ეწოდება ალტრუიზმი და ძმობა.

ჩარევის შემოქმედებითი მხარე

– მოხალისეობა ხასიათდება ინიციატივის გულუხვობით, რომლის დროსაც ფანტაზია ხდება ტანჯვის ქმედითი მსახურება. ეს შედეგია შინაგანი ძალისხმევისა, რომელიც მოხალისეს უბიძგებს იპოვოს მსახურების ახალი და ჩამოყალიბებული ფორმები ჰუმანური საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

მომსახურების სტაბილურობა

– გაჭირვებულ ადამიანს უნდა მოეუხმინოთ მაშინვე, უნდა შევთავაზოთ ხანგრძლივი სამსახური; როდესაც არ შეგვიძლია დახმარება, უკეთესია ვთქვათ „არა“, ვიდრე აღვუთქვათ დახმარება და შემდეგ იმედი გავუცროთ.

– ჩვენ მართლმად უნდა ვიყოთ გაჭირვებულთა წინაშე.

– ეს მოვალეობა ჩნდება სოლიდარობით საზოგადოების იმ მომსახურე პერსონალის მიმართ, რომელიც გარანტიას გვაძლევს, რომ ეს სამუშაო შესრულებული იქნება სტაბილურად და სერიოზულად.

მომსახურების კომპეტენცია

– მოხალისე არ არის დილექტანტი, იმპროვიზატორი. თუ ის ადეკვატურად ვერ უპასუხებს მოთხოვნილებებს, მან უნდა გაიაროს ეფექტური და კომპეტენტური მომზადება.

– ადამიანი არ უნდა მივიღოთ, როგორც საგანი, საცდელი ცხოველი, მით უმეტეს, თუ ის არის სუსტი და გაჭირვებული. მინიმალური მომზადება მოხალისეს ხდის უფრო ნაყოფიერს, ხოლო მის სამსახურს უფრო ეფექტურს.

– ადამიანს აქვს უამრავი მოთხოვნები. მოხალისემ უნდა დაინახოს, თუ სად არის აუცილებელი მისი დახმარება და დაეხმაროს კონკრეტული შესტით.

– გაჭირვებული, ტანჯული ადამიანს მდგომარეობა სერიოზული და ზოგჯერ დრამატულია. სხვათა ტანჯვის შემსუბუქებას ვერ შევძლებთ მხილოდ კეთილი ნებით, მხურვალე სურვილით. უნდა ვიყოთ კარგად ინფორმირებულნი, გვქონდეს განათლება ტექნიკურ, სოციალურ-სანიტარულ, ფსიქოლოგიურ და პასტორალურ ასპექტში.

– აუცილებელია გვქონდეს პროფესიონალური კომპეტენციის გარკვეული დონე. ეს არის საშუალება უზრუნველყოთ მატერიალური სამსახური ამ საკითხის გარშემო.

– საჭიროა გვქონდეს კარგი წარმოდგენა პოლიტიკურ სიტუაციაზე. თუ ჩვენ გვეცოდინება ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, შევძლებთ გავაფართოოთ ჩვენი საქმიანობის ჰორიზონტები.

– აუცილებელია ვიცოდეთ ის ნორმატიული აქტები და კანონები, რომლებიც ზოგადად თუ კონკრეტულად ეხება ჩვენს მიერ დასახული პრობლემების გადაჭრას.

– აუცილებელია შევადაროთ ჩვენი სამუშაო სოციალურ-სანიტარულ მომსახურებას, რათა ვიცოდეთ, რომ ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, არის დროებითი სამუშაო თუ მომსახურების ინტეგრაცია.

მოხალისეობისათვის დამახასიათებელი თვისებები

მოხალისეობა მოითხოვს განსაკუთრებულ მადლს და დამოუკიდებლობას. ზოგიერთი მათგანი ქვემოთაა ჩამოთვლილი:

– პასუხისმგებლობა – ამ მოძრაობის სოციალური უსაფრთხოების მიზნით. ეს ნიშნავს ძიებას ჭეშმარიტი სამართლიანობისათვის, რომელიც არ არის მხოლოდ გამოცხადებული სამართლიანობა და თანასწორობა;

– უარს ამბობს უმეცრებაზე და ცდილობს იყო საზოგადოების კარგი ელემენტი;

– მზად იყო მიატოვო მსახურების ეს სახე, თუკი მისი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს რომელიმე სტრუქტურის მიერ და ყურადღება მიაქციოს საზოგადოების ახალ საჭიროებებს;

– იცოდეს, როგორი ურთიერთობა გქონდეს პოლიტიკოსებთან, მუნიციპალიტეტთან და კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან, რათა შესძლო შეცვალო კანონები და ხელშეკრულებები;

– შენი სამუშაოს ორგანიზება მოახდინო ისე, რომ საკუთარი თავისუფალი დრო ნაყოფიერად გამოიყენო;

– სხვათა მუშაობის რეგულირების შესაძლებლობა;

- ძლიერი ემოციური და ფსიქიკური ბალანსი, რათა შეძლო დაიკმაყოფილო სასწრაფო მოთხოვნები;
- იმ ადამიანთა ინტერესების შეჯამება, რომელთაც ეხმარები. ამ დროს თავშეკავებულად იქცევი;
- პატივისცემა კანონებისა, ტრადიციებისა და სხვისი იდეებისა;
- ქრისტიანებისათვის აუცილებელია თეოლოგიური და სულიერი აღზრდა.

ვის შეუძლია იყოს მოხალისე

ყველას შეუძლია და ყველა უნდა იყოს მოხალისე: საერო თუ სასულიერო პირი.

საერო პირები

ქრისტიანს, სახარებიდან და თავისი რწმენიდან გამომდინარე, ყოველთვის უნდა ჰქონდეს მოხალისეს სული.

იყო ქრისტიანობა არის მოწოდება, გიყვარდეს და გაუზიარო შენი ცხოვრება ღარიბებს, მიუსაფრებსა და ავადმყოფებს.

ახალგაზრდები:

- მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე;
- პრობლემების არსებობის დროს, მათი სოციალური დამოკიდებულებიდან და მგრძობელობიდან გამომდინარე;
- მათი უნარი, იდეები საქმეებად გადააქციონ იძულების გარეშე.

ქალები:

- მათი დელიკატურობით და თავაზიანობით ავადმყოფთა და ხანდაზმულთა მიმართ;
- მათი სპონტანური კომუნიკაცია.

ხანდაზმული ადამიანები:

- რომლებიც არიან დამოუკიდებელი და ჯანმრთელები. ამ კატეგორიის ადამიანები საკმაოდ საჭირონი არიან ჩვენს დროში.

მოხალისეობას აქვს ფუნქცია, რითაც შეუძლია დროებით ჩაენაცვლოს საინსტიტუტო ორგანოებს, მათი ცუდად მუშაობისა და მათი მხრიდან დახმარების ნაკლებობის გამო. მას ასევე აქვს ფუნქცია დაგვანახოს, თუ რა სოციალური და სანიტარული სამსახური სჭირდება ახლადწარმოქმნილ მოთხოვნილებებს.

როგორც ქრისტიანები, ჩვენ მოვალენი ვართ ვებრძოლოთ უმოქმედობას.

მოხალისეს საშუალება და ინტერესი უნდა ჰქონდეს, გადაჭრას სოციალური პრობლემები.

საკრებულოში (მრევლში) ყოველთვის შეგვიძლია ვიპოვოთ ამ ხასიათის მქონე ადამიანები, რადგან სახარება უბიძგებს, იყვნენ მოხალისენი.

ძალიან მნიშვნელოვანია მოხალისეობის ორგანიზება, რადგან მოხალისეს უნარი აქვს პირდაპირ შეხედოს იმ სიტუაციას, რომელიც თავს იჩენს.

მოხალისეობის ორგანიზება შეიძლება განხორციელდეს ერთ ეპარქიაში. მსურველებს შეუძლიათ შეუერთდნენ უკვე არსებულ მოხალისეთა ჯგუფებსაც.

მოხალისე იღებს ტექნიკურ ცოდნას, რომელიც აუცილებელია მისი სამსახურის დროს. მოხალისემ მუდმივად უნდა განაახლოს თავისი ადამიანური და სულიერი შეხედულებები.

მოხალისეთა პერიოდული შეხვედრები გაკეთებული სამუშაოს თაობაზე საშუალებას აძლევს მოხალისეებს, მუდმივად ეძიონ დახმარების უკეთესი მეთოდები ახლად წამროჩენილი მოთხოვნილებების გადაჭრის მიზნით.

სასულიერო პირები

მოხალისეობა ღიაა ყველა მოქალაქისათვის და, რა თქმა უნდა, სასულიერო პირთათვისაც, რომლებიც არიან სრულფასოვანი მოქალაქეები და ეკუთვნიან რელიგიურ ინსტიტუტებსა და კონგრეგაციებს.

სასულიერო პირი უკვე არის მოხალისე. შეწირული ადამიანი უანგაროდ სთავაზობს თავის სამსახურს სხვებს. შეიძლება ითქვას, რომ ცნებები – „სასულიერო პირი“ და „მოხალისე“ – იდენტურებია.

სასულიერო პირს შეუძლია იყოს მოხალისე ინდივიდუალურად, საკუთარი ინიციატივით, ან შეუერთდეს უკვე ორგანიზებულ მოხალისეთა ჯგუფს, როგორც ანიმატორი, ან უბრალო მონაწილე.

მოხალისეობა შეიძლება განხორციელდეს საკრებულოს მიერ:

რომელიმე კონგრეგაციის მიერ სპეციფიკური ქარიზმიდან გამომდინარე, რათა უპასუხონ დროის მოთხოვნებს და წარმოაჩინონ ახალი კორიზონტები.

უნდა გვახსოვდეს, რომ რელიგიური კონგრეგაციების დამაარსებლებმა თავისი საქმიანობა დაიწყეს, როგორც მოხალისეებმა და მოხალისეებთან ერთად.

რელიგიური საკრებულო უნდა უპასუხოვდეს დროის მოთხოვნებს, ისტორიულ, კულტურულ ცვლილებებს და განახლებას; ეს არის განახლება შემოქმედებითი ენერჯისა, ქარიზმებისა და საიმედოობისა, სამსახურისა და ქველმოქმედებისა პირადული და ჩვენი ძმების სულიერი ზრდისათვის.

მოხალისეობა სასულიერო პირთათვის იგივეა, რაც ყველა ქრისტიანისათვის.

სასულიერო პირს შეუძლია და თავისუფალ დროს დაკავებულია მოხალისეობით, – მას შემდეგ, რაც შეასრულებს თავის მოვალეობას საკრებულოში.

მოხალისეობის დროს არ არის ასაკობრივი შეზღუდვა, ყოველ სასულიერო პირს შეუძლია ნახოს თავისი ადგილი: ხანშიშესულ და ასაკოვან სასულიერო პირებს აქვთ გარკვეული უპირატესობა. ამ დროს ასაკოვანი ადამიანი არის მოხალისეობის არა „ობიექტი“, არამედ „სუბიექტი“.

მოხალისეობის დროს უნდა გვქონდეს ცვლილებების, კოორდინაციის, პერიოდული განახლების სურვილი. ეს დამოკიდებულია სასულიერო პირზე, მრევლზე, ტერიტორიაზე, ჯგუფებზე, საკრებულოზე, კონგრეგაციაზე, რათა განისაზღვროს მათი საქმიანობის არეალი.

შეუძლებელია არ შეუერთდე ეკლესიას, რომელიც ემსახურება ადგილობრივ საკრებულოებს საერო თუ სასულიერო კუთხით, რწმენით, რათა აამაღლოს ადამიანთა კვალიფიკაცია:

ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ როგორი სამსახური შევთავაზოთ, შეგვიძლია მოვახდინოთ პაპის სიტყვების ციტირება: „მოხალისეობა არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მხოლოდ ენთუზიაზმიდან გამომდინარე საქმიანობა.

მოხალისეს უნდა ჰქონდეს საგანგებო, პროფესიული და ტექნიკური განათლება...“.

დაბოლოს, აუცილებელია მუდმივი განახლება, ხოლო მუშაობის დროს – ორგანიზება და კოორდინაცია, ამასთანავე, შესრულებული სამუშაოს პერიოდული შეფასება და ცვლილება.

ისტორიის ფურცლები

ბათუმის კათოლიკეთა ეკლესია

ბათუმის მშენებას წარმოადგენს ქართველ კათოლიკეთა ეკლესია. ის დიდებული ქმნილება და ქალაქის სიამაყეა. ამ ეკლესიის მშენებლობის ისტორია ძალზე საყურადღებოა და, ვფიქრობ, იგი საზოგადოებისთვისაც არ იქნება უინტერესო. მინდა გავიხსენო ჩვენი სასიქადულო მწერლის, დავით კლდიაშვილის, სიტყვები : „იქ, სადაც ახლა კათოლიკეთა ეკლესიაა, იყო განიერი ტბა, სავსე გარეული ფრინველებით და იქ იცოდნენ ხოლმე სანადიროდ გასვლა მონადირეებმა. ტბის გადაღმა დასავლეთისაკენ მისდევდა უდაბური ტყე“. აი, სწორედ ასეთი ყოფილა ჩვენი ქალაქის ის ადგილი, სადაც ახლა ეს მშვენიერი ტაძარი დგას. იმხანად უდიდესი შრომატევადი სამუშაოები ჩატარდა ამ დიდებული საქმის დასაგვირგვინებლად. ისმის კითხვა, მაინც რამ განაპირობა ქალაქში კათოლიკეთათვის ეკლესიის აშენების საკითხის დასმა. მაშინ, როდესაც ბათუმის ოლქი შემოუერთდა დედასაქართველოს 1877-78 წლების ომის დროს, ბათუმში არც თუ ისე დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ ქართველი კათოლიკენი. შემდეგ, დროთა განმავლობაში, ძალიან გამრავლდა ქართველ კათოლიკეთა რიცხვი. ქართველი კათოლიკენი ლათინური წესის საეკლესიო წესებს ადასრულებდნენ და, იმის გამო, რომ ქალაქში ლათინური წესის ეკლესია არ იყო, ქართველი კათოლიკენი სომეხ კათოლიკეთა ეკლესიაში დადიოდნენ. ქართველი კათოლიკენი ცდილობდნენ, რომ საკუთარი მოძღვარი ჰყოლოდათ და ღოცვაც ცალკე მოეხერხებინათ, თუნდაც უბრალო სახლში. ამისათვის მათ არერთი თხოვნა გადაუზღავნეს სასულიერო ხელისუფლებას, მაგრამ მათ თხოვნას ყოველთვის უგელებელყოფდნენ. ბოლოს, მრავალგზისი თხოვნის შემდეგ, მოხერხდა, ბათუმელი ქართველი კათოლიკეებისათვის გაეგზავნათ პატრი ანსელმო მღებრიშვილი. ეს მღვდელი სამი წლის განმავლობაში სომეხ კათოლიკეთა ეკლესიაში სწირავდა, რამაც სომეხების უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან მათ არ მოსწონდათ, რომ მათ ეკლესიაში ღმრთისმსახურება ლათინურ ენაზე სრულდებოდა. ამის გამო მღვდელი ხშირად დიდ შეურაცხყოფას იტანდა.

ქართველმა კათოლიკეებმა თხოვნით მიმართეს ბათუმში მყოფ ევროპელებს, რათა მათ, თავიანთი საკონსულოების დახმარებით, ეშუამდგომლათ რუსეთის ხელისუფლების წინაშე, რათა ქართველ კათოლიკეებს საკუთარი ეკლესია ჰქონოდათ. ბოლოს და ბოლოს, 1896 წელს, საკონსულოებმა მიაღწიეს რუსეთის ხელისუფლებისაგან ეკლესიის მშენებლობის ნებართვას, რის შემდეგაც ეკლესიის მშენებლობის გეგმაც შეადგინეს და მთავრობას წარუდგინეს დასამტკიცებლად. გეგმის დამტკიცებას ბათუმის სათათბიროში წინააღმდეგობა შეხვდა. კერძოდ, სათათბიროს წევრები, ვინმე ბიკოვი და

მალიშევი წინააღმდეგნი იყვნენ კათოლიკეებისათვის ეკლესიის აშენებისა და მთავრობას თხოვნენ, არ მიეცათ ამის უფლება, მაგრამ მათ აზრს ყურადღება არ მიაქციეს.

1897 წლის 27 იანვრიდან დაიწყო ფულის შეგროვება და ერთ თვეში 1500 მანეთი მოაგროვეს. მალე ქალაქსაც სთხოვეს ეკლესიისათვის ადგილის გამოყოფა. ქალაქმა დათმო 400 საუენი მიწა, ამის გარდა 200 საუენიც იყიდეს, თხოვნით მიმართეს სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილსაც, რომელმაც ეს თხოვნა დიდი პატივად მიიღო და ასე აღუთქვა მათ: „ჩემის დაუვიწყარის დედის მოსახსენებლად, მე აგიშენებთ მთლად ეკლესიასო“. ამისათვის მან 15000 მანეთი გამოჰყო. აქ საინტერესოა ერთი მომენტიც: სტეფანე ზუბალაშვილმა ახსენა თავისი დედა, სათნოებით აღსავსე ქალბატონი – ბარბარე თუმანიშვილი, რომელმაც შეიღწა ანდერძი დაუბარა, რომ თუ იგი საკმაო თანხას დააგროვებდა, ბათუმში ქართველი კათოლიკეებისათვის ეკლესია აეშენებინა. მართლაც, სტეფანე ზუბალაშვილმა ბაქოს ნავთობის საბადოებიდან დიდი მოგება ნახა და გადაწყვიტა დედის ანდერძის აღსრულება. მართლაც, 1897 წლის 12 აპრილს ეკლესიას საძირკველი ჩაეყარა.

ბათუმის კათოლიკეთა ეკლესია დიდებული ხუროთმოძღვრული ქმნილებაა. ეკლესია აგებულია გოთურ-რომაული წესით. ეკლესიის სიგრძე 16 საუენია, სიგანე – 11, სიმაღლე ძირიდან – 21 საუენი. ეკლესია ნაშენია ბეტონით და ქუთაისის წითელი და ყვითელი ქვით. საძირკველი გამაგრებულია ცემენტის ნალმებით, იატაკს აქვს ცემენტისავე შესანიშნავი სვეტები, ანუ ბოძები, რაზედაც მჭიდროდ დამყარებულია მთელი ტაძრის სიმაგრე. ეკლესიის ჭერი გაკეთებულია რკინის ბოძებით და დახურულია მაგარი რკინით. ეკლესიას აქვს სამი გუმბათი, სამივე გოთური სტილით შესრულებული. ტაძრის წინა მხარეს გამოქანდაკებულია მთელი ტანით წმიდა ანდრია მოციქული და წმიდა ნინო. ეკლესიის კარის შესასვლელთან განლაგებულია მარმარილოს ქვები, ქართული და ფრანგული წარწერებით, კერძოდ: „ტაძარი ესე, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა მარიამისა, თვისის ზღუდითურთ, აღვაგე მე, სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა, საცხოვნებლად სულისა ჩემისა, მშობელთა და დათა ჩემთასა“.

ტაძარი 1903 წლის 5 მაისს აკურთხეს. ამ დღისათვის სტეფანე ზუბალაშვილმა საგანგებოდ სარატოვიდან კათოლიკეთა ეპისკოპოსი მოიწვია.

ოთარ გოგოლიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ინტერვიუ

“ერთსა და იმავე ნავში ვიმყოფებით”

ინტერვიუ მისი უნეტარესობა, ათენისა და სრულიად საბერძნეთის მთავარეპისკოპოს ქრისტოდულოსთან.

ვინ და რატომ უშლიდა ხელს თქვენს მოგზაურობას რომში?

ჩვენი ეკლესიის კონსერვატორული ძალები ვერ იფიქსებენ კათოლიკეთა ქმედებით გამოწვეულ ისტორიულ იარებს. საბერძნეთში სიტყვის თავისუფლებაა და ფუნდამენტალისტური წრეები წერენ და სხვებსაც აიძულებენ დაწერონ, რომ არ უნდა გვქონდეს კავშირი რომის ეკლესიასთან. მე საპირისპირო აზრისა ვარ.

გაქვთ კავშირი საბერძნეთში უმცირესობაში მყოფ კათოლიკე ეკლესიასთან?

ბერძნულ კათოლიკურ საკრებულოსთან შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს. მისი ზოგიერთი ეპისკოპოსი ჩემი თანაკურსელი გახლდათ საფრანგეთის მარიამის სახელობის სასულიერო კათოლიკურ ლიცეუმში. კონკრეტული ნაბიჯებიც გადაგვიდგამს ერთად: მაგალითად, 2001 წელს პაპის ვიზიტის რეალობად ქცევა, რამაც, მართალია, ჩვენს შორის დიდი წინააღმდეგობა წარმოშვა, მაგრამ საბოლოოდ ყველას კმაყოფილება მოგვგვარა. ვთანამშრომლობთ ბიოეთიკის სფეროში, სოციალურ საკითხებში, ქალების წახალისების კუთხით. მეორე ნიდაგი კათოლიკეებთან შესახვედრად იყო ის მცდელობა, რომ ევროპის კონსტიტუციის პრეამბულაში ჩაწერილიყო – *ქრისტიანობა*, როგორც ამ კონტინენტის ერთიანობის საფუძველი. სამწუხაროდ, რამდენადაც ცნობილია, ეს მინიშნება გამორიცხეს, თითქოსდა არც კი ყოფილიყოს სულიერებისა და ხელოვნების ნიმუშები, რაც ამ ფაქტების ჭეშმარიტებაზე ლაღადებენ.

ეს შეხების წერტილებია. უთანხმოების რომელია?

ორი წლის წინ ჩემს ოფისში მოვიწვიე ბერძნული წესის კათოლიკეები. დავეგემეთ ურთიერთშეხვედრები, რაც, სამწუხაროდ, ვერ შესრულდა, რადგანაც მათმა საკრებულომ ცოტაოდენ იმედი გაგვიცრუა, როცა მხარი არ დაუჭირა ჩვენი ეკლესიის მიერ გაწეულ ძალისხმევას, რათა თავიდან აგვეცილებინა პირადობის მოწმობიდან კონფესიური კუთვნილების ამოშლა. კოსტას სიმიტის სოციალისტურმა მთავრობამ ეს გადაწყვეტილება მოულოდნელად გვამცნო, მაშინ როცა მე რუმინეთში გახლდით. ჩვენ რეაგირება სამი მილიონი ხელმოწერის შეგროვებით და მასების მანიფესტირებით შევძელით. მაგრამ ჩვენს ამ ძალისხმევას დაუპირისპირდა ბერძნული წესის კათოლიკე ეკლესია: ის ფიქრობს, რომ პირადობის მოწმობაში მინიშნებული კონფესიური კუთვნილება არამართლმადიდებელი ქრისტიანების დისკრიმინაციას გამოიწვევდა, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ერთ კათოლიკე მთავარეპისკოპოსს ვუთხარი: “თუ მყისვე არ გამოვხტავთ ჩვენს რეაქციას ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ამ ქმედებაზე, მას სხვა მოჰყვება. ჩვენ ყველანი ერთ ნავში ვიმყოფებით და როდესაც ნავი ჩაიძირება, ყველანი ჩავიძირებით, განურჩევლად იმისა, პირველი კლასით ვმოგზაურობთ თუ მეორეთი”.

როგორ ფიქრობთ, რა რეაქცია უნდა ჰქონდეს ეკლესიას ამ შეურაცხყოფის მიმართ?

უნდა იყოს ქრისტიანთა შორის თანხმობა, თუკი გვინდა რეაგირების მოხდენა ლაიციზმის წინაშე, თუმცა საკმარისად ვერ ვმოქმედებთ. პროტესტანტებს, მაგალითად, არაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ ევროპის ქარტიაში ქრისტიანული ფესვები მიენიშნებიათ. ლაიციზმი მრავალ ადამიანს აშორებს ეკლესიიდან, მაშინ როდესაც ეკლესია გვერდით უნდა ედგეს ხალხს და ხალხისთვის იყოს. ახლა კამათობენ, თუ როგორ შეიძლება დაეძლიოთ ეკლესიის მიმართ ხალხის უნდობლობა. ეკლესია მოგებისა და გამორჩენისათვის არ უნდა იყოს ორიენტირებული, იგი ხალხთან უნდა იდგეს და ხსნის გზა აჩვენოს მათ. ეკლესია ამისათვის არსებობს და არა სოციალური აქტიურობისათვის. მართლმადიდებელი ეკლესია ტრადიციების ეკლესიაა. ჩვენს ცხოვრებაში პირველ ადგილზეა ღმრთის განდიდება. აქტიურად ვინახავთ მარხვას, ცისკრის ღოცვას, ჩვენი მონასტრები სულიერების ცენტრებია. ვაცნობიერებთ, რომ არაფერი შეცვლილა, რაც მოციქულთაგან და წმიდა მამათაგან იყო დადგენილი. მოდერნიზმი ეკლესიის წალკოტს გარეთ მდებარეობს. სარწმუნოების კუთხით არაფრის შეცვლა არ შეიძლება.

გჯერათ, რომ ხალხი თქვენ წამოგყვებათ?

როგორც საბერძნეთში, ასევე მსოფლიოს მთელს ბერძნულ დიასპორაში, ყოველ ახალ ქალაქში, პირველ რიგში, ორ რამეს ვაგებთ: ეკლესიას და სკოლას, ანუ სამყოფელს მღვდლისთვის და აღმზრდელისთვის, რწმენა და აღზრდა. ასეა თუ ისე, ოთხასი წელი ჩვენ სხვა ეროვნებისა და რელიგიის ქვეშ ვიყავით. და ვინ დარჩა უბრალო ხალხის გვერდით მაშინ, როდესაც ჩვენი ინტელექტუალები დასავლეთში გაედინებოდნენ? მღვდელი და ეპისკოპოსი. მათ ანუგეშეს ხალხი. მათ შეინახეს ენა და თვითმყოფადობა. ისინი გაუძღვნენ ერს დამოუკიდებლობისაკენ. ისინი დაეხმარნენ მათ წამოდგომაში, არა იმიტომ რომ აიძულეს, არამედ ეს ხალხმა ისურვა. შეიძლება დასავლეთ ევროპამ ეს ვერ გაიგოს, რადგანაც იქ მღვდელი სოციალურად და იდეოლოგიურად შორს დგას. ჩვენ, საბერძნეთში, როგორც ეკლესია, იმ ხალხის ანტიკური დასის გაგრძელება ვართ, როდესაც დემოკრატიულ ათენში ყველა მოქალაქე მონაწილეობდა ქალაქის მმართველობაში. ჩვენს დღეებშიც იგივე ხდება: სამრევლოს ცხოვრებაში ყველა მონაწილეობს. მე არასოდეს მომისმენია იმაზე უკეთესი ინტერპრეტაცია ეკლესიასა და სახელმწიფოს, ეკლესიასა და ბერძენ ხალხს შორის კავშირზე, ვიდრე ერთი თურქი მეცნიერისა, რომელმაც კვიპროსზე, ერთ-ერთი შეხვედრის დროს განაცხადა, რომ იგი აღტაცებულია იმით, თუ როგორ ესმარება ეკლესია საბერძნეთში ქვეყნის თავისუფლებას და განვითარებას, ხოლო თავის მუსულმანურ ქვეყანაში რელიგიამ ხალხი რეგრესისაკენ წაიყვანა.

მაგრამ ბერძნული ეკლესია ცნობილია თავისი კონსერვატულობითა და არაპროგრესულობით.

გავიხსენებ იმას, რაც ერთმა ფრანგმა ჟურნალისტმა ახლახანს დაწერა ყოველდღიურ გაზეთ “La croix”-ში. მან კარგად დაინახა საბერძნეთში მღვდლის იდენტიფიკაცია ხალხთან, როდესაც ჩვენი მღვდლები იხილა დაოჯახებულნი, თავიანთ შვილებთან და მეუღლეებთან, რიგითი მორწმუნეების მსგავსად,

როდესაც იხილა ისინი წირვის შემდეგ თავიანთ მორწმუნეებთან ერთად ჭიქა ყავაზე, როდესაც გაიგო, რომ ეკლესია ღრმა გაგებით და სიყვარულით ეკიდება ხალხის საქორწინო საკითხებს, სადაც ნებადართულია ორი განქორწინება და სამი ქორწინება. თუკი ვინმეს სურს, არა პირდაპირ ცხოვრებიდან, არამედ დაწერილი ტექსტებით შეისწავლოს ურთიერთობის ფორმები ეკლესიასა და საბერძნეთის სახელმწიფოს შორის, შეუძლია თავად განსაჯოს ვინ კონსერვატორია ან ანტიპროგრესისტი. მაგრამ ეს არასწორია. ადამიანის უფლებათა და რელიგიურ თავისუფლებათა საკითხში ჩვენ პიონერები ვართ მსოფლიოში. არა მხოლოდ კანონებით არამედ ხალხის მენტალიტეტით.

ცივილიზაციის პიონერები?

ჩვენს შესახებ გავრცელებული ცუდი ინფორმაციის საპირისპიროდ საბერძნეთმა მთელ მსოფლიოს დაანახა ლამაზი სიურპრიზი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე, როდესაც ბერძენმა ხალხმა იმის გაკეთება შეძლო, რაც მიუღწევლად ჩანდა: საბერძნეთმა მრავალ ე. წ. პროგრესულ ქვეყანაზე უკეთესად მოაწყო თამაშობები, ამას დაემატა ის კულტურაც, საიდანაც ეს თამაშები წარმოიშვა. დასავლეთში ერთმანეთში ურევინებენ ტერმინებს *ცივილიზაცია* და *კულტურა*. არსებობენ ცივილიზებული ერები, რომლებსაც აკლიათ კულტურა, როგორც “პაიდუა” და სიცოცხლის აზრი. ცივილიზაცია ჩვენთვის არ ნიშნავს მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებებს, ავტოსტრადებს, საზოგადო საქმეებს ცივილიზაცია არის ცხოვრების გზა, ადამიანზე ზრუნვა, ტანჯული მოყვასის სიყვარული, რადაგნაც ხშირად პროგრესს თავისი საზღაურიც აქვს მარტობის, სასოწარკვეთის, სევდის, ოპტიმიზმისა და უიმედობის ჩახშობის სახით, მედიკამენტებზე მიმართვით, როგორც ცხოვრების ლაბირინთებიდან დაღწევის სატყუარა. ჩვენ უნდა ვისწავლოთ თავმდაბლობა ზომიერებით. “მეტრონ არისტონ”. ზომიერება სანუკვარი, ამბობდნენ ჩვენი მამა-პაპანი. უნდა შევძლოთ ტექნოლოგიის ჭვრეტა კულტურით, რათა ვაცოცხლოთ ჩვენი ცივილიზაცია.

რას ფიქრობთ ევროკავშირში თურქეთის შესვლაზე?

კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი, ბართლომე I, ორიენტირებულია მხარი დაუჭიროს თურქეთის ევროკავშირში შესვლას, და ჩვენც ვეთანხმებით ამას. მაგრამ აქ რამდენიმე პრიორიტეტია: ადამიანის უფლებები და რელიგიური თავისუფლება. აქვე საკითხავია, არის კი მზად თურქეთი, რომ გაიზიაროს ევროპის ცივილიზაციის პრინციპები? და კიდევ, გეოგრაფიული თვალსაზრისით, სად მთავრდება ევროპა? ცხადია კონსტანტინოპოლში, მაგრამ კონსტანტინოპოლი სადამდე მიდის? ევროპული იდენტურობა განისაზღვრება ასევე რასისა და რელიგიის მხრიდან: ამ საკითხში ჯერ კიდევ უნდა მივიღეთ გარკვეულ დასკვნამდე.

რას მნიშვნელობას აძლევთ ეკუმენიზმს?

ჩვენ დიდი სიმპათიით ვუყურებთ ეკუმენურ მოძრაობას და ვისურვებდით, რომ თეოლოგიური დიალოგი კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის რაც შეიძლება მალე აღდგეს.

თქვენი აზრით, უმთავრესად რაში მდგომარეობს დაბრკოლება?

უნიტიზმის (ანუ რომის პაპთან თანაზიარებაში მყოფი აღმოსავლური წესის ეკლესიები) პრობლემა მეტად სერიოზულია მრავალი მართლმადიდებელი ქვეყნის ეკლესიისათვის და გვინდა, რომ მალე მოგვარდეს ეს პრობლემა. ამასთანავე, კამათის საგნად იქცევა პეტრეს მსახურება თეოლოგიური თვალსაზრისით.

იოანე პავლე II-მ ეს თავად წამოაყენა თავის ენციკლიკაში “Ut Unum Sint”.

ჩვენთვის, მართლმადიდებლებისთვის, რომის ეპისკოპოსს საპატიო პრიმატი აქვს და არა იურისდიქციული. ეს რთული საკითხია, რომელიც დიდ მოთმინებას, ღოცვას და ყურადღებას ითხოვს, რაკილა მრავალი საუკუნის მანძილზე სერიოზული ეკლესიოლოგიური განსხვავება წარმოიშვა კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის, რასაც ერთი ხელის მოსმით ვერ წაშლი. პასუხისმგებლობა ყველა ჩვენგანზეა, ეპისკოპოსებზე, მღვდელმსახურებზე და ერისკაცებზე, და დამოკიდებულია ჩვენს თვითდეტერმინაციაზე, რის გამოც დიდი სულგრძელობით უნდა ვითხოვოთ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს გულმოწყალება და მისი ნათელი ამ სიტყვებით: “ილაპარაკე, უფალო, შენი მსახური გისმენს”. საქმე იმაშია, რომ ბრძოლა საუკუნოვანი ძალაუფლების გამოვლენაზე უხერხულია, გაცილებით ეფექტურია სულიერი ერთიანობა, საბერძნეთის ეკლესიის დამაარსებლის, მოციქულ პავლეს სიტყვების მიხედვით.

კარგა ხანია საუბრობენ საერთომართლმადიდებლური მსოფლიო კრების შესახებ. რა ეტაპზეა მისი მომზადება?

კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის უფლებაა კოორდინაცია გაუკეთოს საერთომართლმადიდებლური კრების მოწვევას, რომელიც აგერ უკვე ათასი წელზე მეტია არ შემდგარა. ჩვენ გვსურს, ვლოცულობთ და, ჩვენი მხრივ, ვცდილობთ აღმოვფხრათ ყველა დაბრკოლება, რომ შეგვეძლოს სულიწმიდაში ჩვენი პლენარული შეკრების კურთხეულ წუთამდე მისვლა.

როგორი ურთიერთობა გაქვთ კონსტანტინოპოლის პატრიარქთან?

სერიოზული დაპირისპირების შემდეგ, ვიტყვოდი, რომ ჩვენს შორის ისევ სიყვარულმა და გაგებამ დაისადგურა. პირველადი საქმეა პასტორალური ზრუნვა ხალხზე, რომელთა მსახურებიც ჩვენ გახლავართ. მით უფრო არ უნდა გავუცრუოთ იმედი და არ ავაფორიაქოთ ისეთი საკითხებით, რაც გაუგებარია.

ასევე, როგორი ურთიერთობა გაქვთ რუსეთისა და რუმინეთის მართლმადიდებელ ეკლესიებთან? ბერძნებს აბრალებენ, რომ ისინი ეგვიპტის ალექსანდრიის და იერუსალიმის პატრიარქებს აკონტროლებენ.

სიმართლე ისაა, რომ ეგვიპტის ალექსანდრიისა და იერუსალიმის ისტორიულ პატრიარქებს ცოტა მორწმუნე ჰყავთ და საბერძნეთის ეკლესია უწვდის მათ დახმარების ხელს, ამარაგებს მათ თავისი მღვდლებით, მრავალი მათგანი მისიონერია აფრიკაში. მართლმადიდებელურ მისიას კენიაში, უგანდაში და სხვა აფრიკულ ქვეყანაში ტრადიციულად მეთაურობს ეგვიპტის ალექსანდრიის პატრიარქი. ახლახანს დანიშნული პატრიარქი ფეოფანე, კრატას კუნძულიდან, ამ მისიას ძლიერ იმპულს აძლევს.

ინტერვიუს დროს, ათენის მთავარეპისკოპოსთან ერთად, ბრძანდებოდა ასევე აქაიას ეპისკოპოსი ათანასიოსი, ბრიუსელში საბერძნეთის ეკლესიის წარმომადგენელი. მან პასუხი გასცა ბოლო კითხვას და ევროკავშირში თურქეთის შესვლის შესახებ დასმულ კითხვას.

ინფორმაცია

**მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა
და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ილია მეორის,**

სიტყვა სამების ტაძართან არსებული ახალგაზრდული ცენტრის გახსნაზე

ბატონო პრეზიდენტო, ქალბატონო პარლამენტის თავმჯდომარე, ბატონო მერო, ელჩებო, ქალბატონებო და ბატონებო, დღეს არის ჩვენი დიდი დღესასწაული: ხსენება წმიდისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა, რომელიც არის დამაარსებელი საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და დღესვე არის ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაული: ხსენება წმიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა.

„დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენი“! შემთხვევით არაფერი ხდება და არ არის შემთხვევითი ის, რომ ღვთის განგებით, დამაარსებელი საქართველოს ეკლესიისა არის მაცხოვრის პირველი მოციქული, პირველწოდებული ანდრია.

კიდევ ერთხელ უნდა გადავხედოთ ჩვენს წარსულს და ჩვენს დღევანდელ დღეს და ჩვენ დავინახავთ, რომ უფალი უხვად აძლევდა და აძლევს წყალობას ჩვენს ქვეყანასა და ჩვენს ერს. არ იყო შემთხვევითი ის ფაქტი, რომ საქართველოში იყო ჩამოტანილი კვართი უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტესი. როგორ შეიძლება ავხსნათ ის, რომ საქართველო გახდა წილხვედრი ყოველად წმიდა ღვთისმშობლისა.

IV საუკუნეში საქართველოს სახელმწიფო რელიგიად ხდება ქრისტიანობა და კონსტანტინე დიდი უგზავნის ორ სამსჯავალს, ორ ლურსმანს, რომლითაც ჯვარცმული იყო უფალი ჩვენი, იესო ქრისტე. როგორ შეიძლება ავხსნათ ჩვენ ის, რომ V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის დროს, საქართველოს ეძლევა ანტიოქიის ეკლესიისაგან ავტოკეფალია, ანუ დამოუკიდებლობა. ამავე დროს ვახტანგ გორგასალი არის დამაარსებელი ჩვენი დედაქალაქის – თბილისისა.

ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ღმერთი უხვად აძლევდა და აძლევს მადლს ჩვენს ერს, მაგრამ ჩვენ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ვისაც ბევრი ეძლევა, იმას ბევრიც მოეკითხება. საქართველო, ქართველი ადამიანი, უნდა იყოს მაგალითი მაღალხეობისა, მაგალითი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა.

მე გულითადად მივესალმები დიპლომატიურ კორპუსს, ყველა ელჩს, საელჩოების წარმომადგენლებს ამ ახალგაზრდულ ცენტრში და ვფიქრობ, რომ თქვენ გექნებათ ნათელი წარმოდგენა საქართველოს ეკლესიის შესახებ. ჩვენი ეკლესია არის უძველესი ეკლესია მსოფლიოში.

მე მახსენდება ჩემი შეხვედრა მის უწმიდესობასთან, რომის პაპ იოანე პავლე II-სთან ვატიკანში და მან თქვა: „ჩვენი ეკლესიები არიან მოძმიე ეკლესიები, იმიტომ რომ ერთი არის დაარსებული პეტრეს მიერ და მეორე ანდრიას მიერ, ხოლო პეტრე და ანდრია ძმები არიან“.

მე კიდევ ერთხელ ყველას მოგესალმებით და გისურვებთ, რომ წყალობა ღვთისა და მშვიდობა ღვთისა, შინაგანი მშვიდობა სუფევდეს თქვენში და თქვენს გარშემო. ღმერთმა დალოცოს, გააძლიეროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო! და მე მინდა ასევე მოგახსენოთ, რომ მოეწყო ფოტოგამოფენა, რომელიც არის გადაღებული აფხაზეთში და კიდევ ერთხელ გვახსენებს იმის შესახებ, რომ აფხაზეთი ჩვენი ახლობელია, ჩვენი ნაწილია! ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია არის უძველესი ეპარქია საქართველოს ეკლესიისა და მე დიდი სიყვარულით მივესალმები აფხაზეთიდან ჩამოსულ ჩვენს ძმებს!

ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და ჩვენი ქვეყანა, ამინ!

განცხადება

გასული წლის მაისში, სულხან-საბა ორბელიანის სახ. ინსტიტუტისა და საქართველოს რელიგიათმცოდნეთა კავშირის ინიციატივით, ასევე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს სახალხო დამცველის თანადგომითა და ჟურნალ „საბას“ საინფორმაციო მხარდაჭერით, დაფუძნდა და ჩატარდა რელიგიათმცოდნეთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი. სიმპოზიუმში რამდენიმე ქვეყნის 18 მეცნიერი იღებდა მონაწილეობას და ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა თბილისსა და წეროვანის სულიერიერებისა და კულტურის ცენტრში.

სიმპოზიუმის მასალებით დაინტერესება გამოთქვეს ამერიკელმა კოლეგებმა და მათ მიერ შერჩეული ნაშრომები ითარგმნა ინგლისურად.

სიმპოზიუმით მეცნიერთა დაინტერესებამ, მის დამფუძნებლებს სტიმული მისცა გაეფართოებინათ სიმპოზიუმის ფორმატი, ცალკე კრებულად გამოეცათ წაკითხული ნაშრომები. ასევე, თურქეთში მოქმედი „საქართველოსთან კულტურული მეგობრობის ასოციაციის“ მესვეურებმაც გამოხატეს დიდი სურვილი და მზაობა, სულხან-საბა ორბელიანის სახ. ინსტიტუტთან და რელიგიათმცოდნეთა კავშირთან ერთად, აქტიურად ჩაებან მის მზადებაში. ამ გზაზე პირველ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს თურქეთის საქართველოსთან კულტურული მეგობრობის ასოციაციის გაწევრიანება საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოში.

რელიგიათმცოდნეთა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი --
„საქართველო: რელიგია და თანამედროვეობა“ ჩატარდება თბილისში,
2007 წლის მაისში. 15 მაისს – მონაწილეთა რეგისტრაცია, 16 მაისს –
სიმპოზიუმის გახსნა, 17 მაისს – პლენარული სხდომები, 18 მაისს –
სიმპოზიუმის დახურვა.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი
უნდა წარმოადგინონ სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტში (სულხან-
საბა ორბელიანის ინსტიტუტის ადმინისტრაციული კორპუსი). ა.წ. 15
აპრილამდე. სიმპოზიუმზე წარმოდგენილი მოხსენება არ უნდა
აღემატებოდეს 7 ნაბეჭდ გვერდს.

2007 წლის ივნისში სულხან-საბა ორბელიანის სახ. ინსტიტუტი,
საქართველოს რელიგიათმცოდნეთა კავშირი და თურქეთის
საქართველოსთან მეგობრობის ასოციაცია, ჟურნალ „საბას“
საინფორმაციო მხარდაჭერით ატარებს საერთაშორისო სიმპოზიუმს
„რელიგიათა დიალოგი და გლობალიზაცია“. მსურველთა განაცხადები
მიიღება 30 აპრილამდე.
დაწვრილებითი ინფორმაციას მოგაწვდით „საბას“ მომდევნო ნომერში.

„განსვენება საუკუნო, მიანიჭერ მათ უფალო!

ევგენია ბალიაშვილი

* 1940 წ. 29 ნოემბერი, ახალციხე

+ 2007 წ. 27 იანვარი, ახალციხე

სიმონ ნასყიდაშვილი

* 1930 წ. 12. დეკემბერი, ვალე

+ 2007 წ. 17 თებერვალი, ვალე

შალვა ხითარიშვილი

* 1943 წ. 10 ნოემბერი, ვალე

+ 2007 წ. 15 თებერვალი, ვალე

სარჩევი

რედაქციის გვერდი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

სულიერება

სოციალური პრობლემები

ისტორიის ფურცლები

ინტერვიუ

ინფორმაცია

საგანგებო ჩანართი:
დოგმატური კონსტიტუცია ეკლესიის შესახებ

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ
© „საბა“, 2007

დოგმატური კონსტიტუცია ეკლესიის შესახებ **LUMEN GENTIUM** საგანგებო ჩანართი

იმისათვის, რათა კათოლიკე ეკლესიას განეახლებინა თავისი კავშირი თანამედროვე სამყაროსთან, რათა ამ კავშირის საშუალებით მისთვის მინდობილი უფლის ხარება ყველასთვის აღსაქმელი და ახლო გაეხადა, ვატიკანის II კრება თავის ერთ-ერთ ძირითად დოგმატურ კონსტიტუციაში **Lumen Gentium** („ნათელი ხალხთა ცდილობს წარმოაჩინოს თავისი არსი და თვითცნობიერება. ამიტომ იგი საუბრობს იმ დიდ საიდუმლოზე, რომელსაც თავად ეკლესია წარმოადგენს და რომელიც უფლის მსხნელი ნების გამოსატყულებაა ამქვეყნიურ ცხოვრებაში. თავის სწავლებას კრება განავრცობს ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, იგი მიუთითებს ეკლესიის წარმომავლობასა და მის ხასიათზე და, მეორე მხრივ, აკონკრეტებს ხსნის ისტორიულ მნიშვნელობასა და ესქატოლოგიურ ხედვას. ეს ორივე პერსპექტივა საეკლესიო კონსტიტუციაში განვრცობილია რვა თავში:

1. ვატიკანის II კრება ეკლესიის საიდუმლოებრივი ხასიათის შესახებ საუბარს ქრისტეზე მინიშნებით იწყებს, რადგან ეკლესიასაც ქრისტეს მსგავსად ადამიანური და ღვთიური ბუნება აქვს და იესო ქრისტეა ის საყოველთაო ცენტრი, რომელშიც ეკლესიის მთელი საიდუმლოება იხსნება. იესოს ამქვეყნიური ისტორია ნათელყოფს მამის მარადიულ განზრახვას ადამიანთა ამადლებისა საღმრთო ცხოვრების

ზიარებადღე. ამიტომ ღმერთმა ადამის მთელ მოდგმას მოუხმო ეკლესიაში თავის მზრუნველობის დასამოწმებლად, რათა ისინი წარმოჩენილიყვნენ ღმერთთან შინაგანი ერთიანობის ნიშნად და საშუალებად. სწორედ ესაა კაცობრიობის განახლების დასაწყისი და ერთიანობის გარანტი.

ამ მიზნის განსახორციელებლად ქრისტემ დააფუძნა დედამიწაზე ზეციური სასუფეველი, რომელშიც მამისაგან სამყაროს შექმნამდე ადამიანები უფლის ხატად და მსგავსად ამორჩეულნი არიან ქრისტესთან ერთად ღმრთის შვილებად ყოფნისათვის. მას შემდეგ, რაც მამისგან ძისათვის დაკისრებული საქმე დედამიწაზე აღსრულდა, ღმერთმა მოაგვლინა სულიწმინდა, რათა ეკლესია ხილულად წარმოეჩინა, მუდამ წმინდა ეყო, და ერთგულები ქრისტეს გზით მამასთან მიეახლოებინა (შდრ. ეფეს. 2,18). ამ გზაზე მამა ღმერთი ანიჭებს ადამიანებს ახალ სიცოცხლეს, ურთიერთობასა და ურთიერთმსახურებაში მათ ერთიანობას უზრუნველყოფს, აწესრიგებს და წარმართავს სხვადასხვა იერარქიულ და ქარიზმატულ ნიჭთა საშუალებით. ამგვარად, ქრისტეს სასუფეველი, ეკლესია წარმოგვიდგება როგორც “ხალხი, გაერთიანებული მამის, ძისა და სულიწმიდის ერთობისაგან”.

2. დოგმატური კონსტიტუციის მეორე თავში ვატიკანის II კრება ეკლესიას აღწერს, სწორედ როგორც ერთობას, “ღმერთის ერს”, რომლის ბუნება იესომ ღმრთის სასუფეველის ხარებით, კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა და სრულყოფილად განახორციელა. წმიდა წერილი იესოს სიტყვებს გადმოგვცემს: “აღსრულებულ არს ჟამი და მოახლოებულ არს სასუფეველი ღმრთისაი” (მარკ. 1,15). ღმრთის სასუფეველი მიეცათ ადამიანებს ქრისტეს სიტყვებში, საქმეებში, მის აქმყოფობაში და აქტუალურია სულიწმიდის ქმედებაში. მართლაც, ეკლესია გავს ღმერთის მიერ მინდორში დათესილ თესლს, რომლის გაღვივებასა და ზრდაში მორწმუნენი მკის ჟამს უფლის ნაყოფს მოიწევენ. ამგვარად ხდება ღმერთის მარადიული განაზრახვის გამოვლინება, რომლის ისტორიული განვრცობის საჩვენებლად კონსტიტუცია “ნათელი ხალხთა” სხვადასხვა სახეთა საშუალებით მიანიშნებს ძველ აღთქმაში ეკლესიის გამოვლინებაზე. ამ სახეებმა უნდა დაგვიახლოვოს ეკლესიის ღრმა ბუნება. ესენი აღებულნი არიან მწყემსური, სამიწათმოქმედო, სამშენებლო, ოჯახური თუ ცოლქმრული ცხოვრებიდან და გადმოცემულია იგავთა კონტექსტში. ეს სახეები ეკლესიის საიდუმლოებრიობას ინტიმურად აღქმადად ხდიან, ამიტომ ეკლესია შედარებულია: ბაგას, რომლიდანაც მორწმუნენი ქრისტეს მეშვეობით ერთადერთ და აუცილებელ სულიერ საკვებს ღებულობენ; მიწათმოქმედებას, რომლის ნაყოფიც ადამიანთა სიწმიდეა; აღმშენებლობას (1კორ. 3,9), რომლის ფუნდამენტი თავად უფალია (“ლოდი, რომელ შეურაცხევებს მაშენებელთა, ესე იქცა თავ კიდურთა”); “ზემო იერუსალიმს”, “ჩვენს ღედას” (გალ. 4,26), “უმწიკვლო კრავის უმწიკვლო სძალს” (გამოცხ. 19,7; 21,2; 22,17). ყველა ამ ძველადღმრთისული სახის საშუალებით ვატიკანის II კრება ხაზს უსვამს ისრაელის ერის ისტორიისა და ძველი აღთქმის მომამზადებელ ეტაპს. ამიტომ ეკლესია წოდებულია განახლებულ ღმრთის ერად, რომელიც

ძველი აღთქმის ღმრთის ერის მემკვიდრედ მოიაზრება. განახლებული ერი მონაწილეობს ქრისტეს სამღვდლო და წინასწარმეტყველურ მსახურებაში. ამით ისურვა ღმერთმა, რომ ადამიანები წმინდა ეყო და გამოეხსნა არა ცალ-ცალკე, არამედ იმ ერთ ერად შეკრებილი, რომელიც ქრისტეს მეშვეობით ღმრთის ჭეშმარიტებას შეიცნობდა და მას წმიდად ემსახურებოდა. ასეთი ერის წინასახედ ღმერთმა ისრაელის ხალხი ამოირჩია, დადო მასთან კავშირი, და მასში მოავლინა თავისი ძე. ამრიგად, ებრაელთა ერის ცხოვრება არა მარტო ქრისტესეული ეკლესიის დაბადების წინაპერიოდია, არამედ ის გარემოც, რომლიდანაც აღმოცენდნენ წმიდა მოციქულები, რათა მთელი კაცობრიობისათვის უფლის ხარების უწყებითა და ღმრთის უნივერსალური მხსნელი ნების გაცხადებით ეკლესიის საყოველთაო ხასიათი (კათოლიკობა) შეცნობილ იქნას. სწორედ ამიტომ იმეორების ვატიკანის II კრების დოგმატური კონსტიტუცია მრწამსის აღსარებას ეკლესიის ერთიანობის, სიწმიდის, სამოციქულოობისა და საყოველთაოობის შესახებ. ღმრთის ნება ერთია, წმიდა, საყოველთაო და მთელი კაცობრიობისათვის მოციქულთა მიერ გადაცემული.

3. კონსტიტუციის მესამე თავი საუბრობს ეკლესიის იერარქიულ აგებულებაზე, საეპისკოპოსოს ცხოვრებაზე. ღმრთის ნების ამქვეყნიური გამოვლინების მახასიათებელი ნიშნები გამოხატავენ არა მარტო ეკლესიის ღვთიურ წარმომავლობასა და ადამიანური ბუნების რეალურ ხასიათს, არამედ ეკლესიური საზოგადოების იმ მიზანსაც, რომლის მისაღწევადაც ეკლესიაში ქრისტემ შექმნა სხვადასხვა მსახურებანი. ამ მსახურებათა განსახორციელებლად და მათი შემდგომი გადაცემისათვის ქრისტემ მოიწვია მოციქულები, რომელთა მემკვიდრეებს ეპისკოპოსები წარმოადგენენ. ისინი მთელ მორწმუნე ხალხთან ერთად აყალიბებენ საეკლესიო იერარქიულ საზოგადოებას, საეპისკოპოსოს, რომლის სტრუქტურული ფუნქციების განსახაზღვრად ვატიკანის II კრება აღწერს მასში არსებულ მსახურებათა ხასიათს. საეკლესიო კონსტიტუცია მიანიშნებს იმაზე, რომ ეპისკოპოსი, “ხარისხის საიდუმლოს სისავსით აღჭურვილი”, მღვდლებთან და დიაკონებთან ერთად წარმართავს ეკლესიის ცხოვრებას. იგი ასწავლის უფლის სიტყვას, ადასრულებს სამღვდლო ფუნქციას და წარუძღვება მმართველ მსახურებას, რათა თავისი სამწყსო ჭეშმარიტებასა და სიწმიდეში ამრავლოს. სხვა ეპისკოპოსებთან ერთად იგი ქმნის სამოციქულო კოლეგიას, რომელიც დაკავშირებულია რომის პონტიფექსთან, პეტრეს მემკვიდრესთან. საეკლესიო კონსტიტუცია განსაკუთრებულ ხაზს უსვამს რომის პაპის საეპისკოპოსო კოლეგიალურობასა და სამწყსო მისიას, რომლესაც იგი, “თავისი თანამდებობის გამო, ე.ი. როგორც ქრისტეს ნაცვალი და ერთიანი ეკლესიის მწყემსი” სხვა ეპისკოპოსებთან სრულ ერთობაში განახორციელებს. ისინი ერთად ინარჩუნებენ უფლის მიერ ბოძებულ სწავლებას და წარადგენენ ეკლესიას სამყაროს წინაშე.

4. ვატიკანის I კრებისაგან განსხვავებით მეორე კრების საეკლესიო კონსტიტუცია ეკლესიის სტრუქტურას აღარ განიხილავს მხოლოდ სასულიერო პირთა პერსპექტივით. მღვდელთა და დიაკონთა მსახურებათა გარდა კონსტიტუცია – “ნათელი ხალხთა” – განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აგრეთვე საეროთა ადგილსა და ფუნქციას საეკლესიო ცხოვრებაში. აქ საუბარია საეროთა საყოველთაო მოციქულობაზე, რომლისთვისაც მოწოდებულია ყველა ის, ვინც ნათლობითა და მირონცხებით ქრისტეს მისტიურ სხეულს ეზიარება. ეს მიანიშნებს ეკლესიის მხსნელ მისიაში მონაწილეობაზე, რომელიც მორწმუნეში სულიწმიდის სულ უფრო მეტ ნაყოფს იღებს.

5. ეკლესიის ხსნის ისტორიული მნიშვნელობის წარმოჩენისას ვატიკანის II კრება საუბრობს სახარებისეულ რჩევათა პრაქტიკაზე, ახალი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაზე, რომელიც სიყვარულის სრულყოფისათვის სწრაფვაში იკვეთება, მღვდელმსახურებაზე და საკრამენტულ ცხოვრებაზე, რომელიც აცოცხლებს ყოველ მორწმუნეში უფლისგან მონიჭებულ სამოციქულო მისიასა და ღვთის ხატად აღბეჭდილ სიწმიდის წყაროს. ამიტომ კონსტიტუცია ამბობს: “ქრისტეს მიმდევარნი, ღმერთისგან მოწოდებულნი და უფალი იესოს მიერ გამართლებულნი არა თავის საქმეთა გამო, არამედ ღმერთის განზრახვითა და მადლით, ნამდვილად იქცნენ რწმენის ნათლობით ღმერთის შვილებად და საღმრთო ბუნების მოზიარედ, და ამდენად მართლაც წმინდანებად” (40).

6. მღვდელთა, დიაკონთა, ქრისტიანულ ოჯახთა, ქვრივ და დაუქორწინებელ მორწმუნეთა სულისმიერი თანაარსებობის გარდა კონსტიტუციაში ცალკე თავში საუბარია მოწესეთა ცხოვრების მნიშვნელობაზე. მართალია, მოწესის სტატუსი არ ეხება ეკლესიის იერარქიულ სტრუქტურას, მაგრამ იგი წარმოადგენს მისი ცხოვრებისა და სიწმიდის განუყოფელ ნაწილს, რადგან იგი არსებობს სახარებისეულ რჩევათა შესრულების საფუძველზე. ამიტომ “ეკლესიას თავისი სანქციით მოწესეთა საქმიანობა არა მარტო კანონიკური ღირსების სტატუსამდე აჰყავს, არამედ ლიტურგიული ქმედებით მის ღმერთისადმი მიძღვნილ სტატუსსაც წარმოაჩენს. თავად ეკლესია, ღმერთისაგან ბოძებული უფლებამოსილებით, იღებს აღმსარებელთა აღთქმებს, თავის საჯარო ღოცვაში ღმერთს სთხოვს მათთვის დახმარებასა და მადლს, მათ ღმერთს მიანდობს, სულიერად დალოცავს და მათ ძღვენს ევქარისტიულ მსხვერპლშეწირვას უერთებს” (45). ამდენად, მოწესეთა წველილი სიწმიდის საყოველთაო განვრცობაში უფლის განსაკუთრებული მადლით იკვეთება. მიუხედავად იმისა, რომ სახარებისეულ რჩევათა შესრულებას გარკვეულ ღირებულებათაგან განდგომა მოსდევს შედეგად, იგი მაინც არ წარმოადგენს დაბრკოლებას ადამიანის პიროვნების ჭეშმარიტი განვითარებისათვის, არამედ ყოველმხრივ უწყობს ხელს მის სრულყოფას, შინაგან განწმენდასა და ჭეშმარიტი თავისუფლების შექენას.

7. ეკლესია, რომელშიც ღვთის სიტყვას სამყაროსათვის ნათელი მოაქვს და უფლის მადლით ადამიანები სიწმიდეს იძენენ, მორწმუნეებს ახსენებს, რომ ამქვეყნიურ ცხოვრებას დასასრული ელის და მისი საბოლოო აღსრულება მხოლოდ ზეციურ დიდებაში მოხდება. ყველა ადამიანი და თვით ეკლესიაც მეგზურ მდგომარეობაშია, მანამდე, სანამ მოვა უფალი “დიდებითა თვისითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა” (მთ. 25,31). ეკლესიის ზეციური დიდების ძალით განქარდება სიკვდილი და ყველაფერი უფალს დაემორჩილება (შდრ. 1კორ. 15,26-27). მორწმუნე, რომელიც დღეს დედამიწაზე მსხემობს, თავისი ცხოვრების დასრულებით შეუერთდება აწ გარდაცვლილ, ნათელში მყოფ და ღმერთის მჭკრეტ ადამიანებს და მათთან ერთად გაიხარებს ზეციურ ეკლესიაში. ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ წყდება ერთიანობა ამქვეყნიურ ადამიანებსა და ქრისტეს მშვიდობით განსვენებულთა შორის. პირიქით, “იმის გამო, რომ ცის მოქალაქენი უფრო მჭიდროდ არიან ქრისტესთან დაკავშირებულნი, ისინი მთელ ეკლესიას სიწმიდეში უფრო მეტად განამტკიცებენ და ამადლებენ ღმერთისმსახურებას, რომელსაც ეკლესია მიწაზე ღმერთს უძღვნის, და მრავალგვარად ხელს უწყობს მის უფრო ფართო მშენებლობას” (49).

8. დოგმატური კონსტიტუცია ეკლესიის შესახებ თავის ბოლო ნაწილს უთმობს მარიამ ღმერთისმშობლის შესახებ საუბარს. იმისათვის, რომ ნეტარი ქალწულის როლი ხსნის ისტორიაში ნათლად წარმოჩინდეს, ვატიკანის II კრება არ გამოსცემს ღმერთისმშობლისადმი მიძღვნილ ცალკე დოკუმენტს, არამედ საეკლესიო კონსტიტუციაში არკვევს ქრისტიანის მისდამი დამოკიდებულების, რადგან ყოველდღეინდა ქალწულის ადგილი ხსნის განგებულებაში საუკეთესოდ წარმოჩინდება მხოლოდ ქრისტესა და ეკლესიის საიდუმლოსთან უშუალო კავშირში. მარიამი, წოდებული ქრისტესა და ეკლესიის დედად, წარმოდგენილია მტკიცე რწმენისა და ნუგეშის ნიშნის სრულყოფილ მისაბამ მაგალითად და ქრისტესთან შუამდგომლად. ამიტომ თავის სამოციქულო საქმეებში ეკლესია დამსახურებულად უყურებს დედობრივი სიყვარულის უმწიკლო მაგალითს, რათა ყოველი მორწმუნის გულში დაიბადოს და გაიხარდოს უფლის უზენაესი სიტყვა.

იეზუიტების (იესოს საზოგადოების) და საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის

2006 წლის დეკემბერში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა დიდი მეცნიერის, პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც ყველა წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერები იღებდნენ მონაწილეობას, – მათ

შორის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტიდანაც.

კონფერენციაზე მრავალი საგულისხმო მოხსენება იქნა წაკითხული. ზოგი მათგანი საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიასაც ეხებოდა. გადავწყვიტეთ ჟურნალ „საბას“ მკითხველს, მცირედი შემოკლებით, შევთავაზოთ ეს მოხსენებები.

ამჟამად წარმოგიდგენთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ია ხუბაშვილისა და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ნანა ციხისთავის მოხსენებას – იეზუიტების საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ. იმედს გამოვთქვამთ, რომ ამ საკითხის შესწავლა ისევ გაგრძელდება და ჯერჯერობით უცნობ არაერთ ისტორიულ ფაქტს აეხდება ფარდა.

ნუგზარ ბარდაველიძე

იეზუიტების (იესოს საზოგადოების) საქმიანობას არაერთი მონოგრაფია და სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება. ფაქტია, რომ ამ საზოგადოების გარშემო დღესაც არ წყდება სამეცნიერო თუ საეკლესიო ინტერესი, მით უფრო, რომ ამ ორდენის წარმომადგენლები დღესაც საკმაოდ წარმატებულნი არიან როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო მოღვაწეობაში, ასევე საზოგადოებრივ ასპარეზზეც. ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული საკითხის წინა პლანზე წამოწევა განპირობებულია სადღეისოდ რელიგიისა და რელიგიური ორგანიზაციების საკითხის აქტუალობით არა მხოლოდ ჩვენს სახელმწიფოში, არამედ მთელს მსოფლიოში. თუ გავიხსენებთ ცნობილი მეცნიერის ს. ჰანტინგტონის კონცეფციას „ცივილიზაციათა შეჯახების“ შესახებ, ალი ტარიკის „ფუნდამენტალისტების შეჯახებას“, ფ. ფუკუიამას „ისტორიის დასასრულს“, ფ. ენგელჰარდტის „მესამე მსოფლიო ომის დასაწყისს“, აშკარაა, რომ ჩვენ მართლაც უზარმაზარი პრობლემისა და მისი გადაჭრის წინაშე ვდგავართ. ეს მექანიზმები, ალბათ, უნდა ვეძიოთ ჩვენი მენტალობისათვის უფრო ახლო მდგომ და მისაღებ ღირებულებებსა და ორიენტირებში. ამდენად, ისტორიული წარსულის ხელახალი გააზრება, საშუალებას მოგვცემს ამ კუთხით, უკეთ განვსაზღვროთ, რა ფაქტორები უნდა გავითვალისწინოთ და რა სახის გზა ავირჩიოთ სამომავლოდ ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებისა და სრულყოფისათვის.

ამ თვალსაზრისით, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს კათოლიკე მისიონერთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ორდენის – იეზუიტების ანუ იესოს საზოგადოების ინტერესთა არეალში საქართველოს მოქცევა. ეს საკითხი ფაქტობრივად შეუსწავლელია, ორიგინალური ნაშრომი ამ თემაზე (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სამეცნიერო სტატიასა და მოსაზრებას, გამოთქმულს ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ) არ არსებობს. ნაკლებად შემორჩენილა, ასევე, წერილობითი წყაროები, რომელნიც დაადასტურებდნენ იეზუიტთა ინტერესს საქართველოში მოღვაწეობისა თაობაზე. ამდენად, თუ გავიხსენებთ მე-17-18 საუკუნეებში საქართველოში კათოლიკე მისიონერების გამოგზავნის მიზეზებს, რამაც განაპირობა მე-17 ს.-ის დასაწყისში საქართველო-რომის ურთიერთობების გააქტიურება და ამის გამო საქართველოში კათოლიკე მისიონერების ჩამოსვლა (მხედველობაში გვაქვს ოფიციალური მისიონები), სრულიად ნათელი იქნება, თუ რატომ გამოვარჩიეთ სხვა ორდენების წარმომადგენელთაგან „იესოს საზოგადოება“. იგი ყველა სხვა ორდენზე მეტად ძლიერი აღმოჩნდა და ისტორიის ავანსცენაზე გამოჩენისთანავე მე-16-ე საუკუნეში

რეფორმაციისაგან შერყეულ კათოლიკე ეკლესიას რესტავრატორისა და მხსნელის როლში მოეწოდებოდა. კათოლიკე ეკლესიისა და კონტრრეფორმაციის ძირითად დასაყრდენს სწორედ იეზუიტების ორდენი წარმოადგენდა, რომლის სამშობლოც ესპანეთი იყო, ხოლო იესოს საზოგადოების ანუ ფუძემდებლად ითვლება წმიდა ეგნატე ლოიოლა.

იეზუიტთა ორდენთან საქართველოს ურთიერთობა მე-17 საუკუნიდან იწყება. როგორც მიქელ თამარაშვილი თავის წიგნში „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ აღნიშნავს, „მე-15 საუკუნის შუა ხანებიდან მე-17 ს.-ის დასაწყისამდე საქართველოში კათოლიკე მისიონერები არ ყოფილან. მიუხედავად იმისა, რომ მისიონერები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იგზავნებოდნენ, ამ საწყალ ქვეყანაზე არავინ ფიქრობდა. ამიტომ ქართველებმა თვითონ დაიწყეს მისიონერთა ძებნა“. ჩვენ ვერ დავეთანხმებით მ. თამარაშვილის მოსაზრებას, ვინაიდან ცნობილია, რომ უკვე მე-13-14 საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე კათოლიკეები მუდმივად ცხოვრობდნენ. თ. ბერაძის ცნობით, სოხუმში გენუელები პირველად 1280 წელსაა მოხსენიებული, რაც მიუთითებს სოხუმში მუდმივი კათოლიკური მოსახლეობის არსებობაზე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მე-14 საუკუნეში კათოლიკეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. 1318 წელს პაპმა დააფუძნა ეწ. „სულთნის სამთავარეპისკოპოსო ილხანთა სახელმწიფოსი“, ხოლო ცოტა ხნით ადრე საფუძველი ჩაეყარა ქალაქ სულთანის (ყაზვინთან ახლოს), რომელიც მალე მისიონერთა ცენტრად იქცა. 1315 წელს იქ უკვე 25 ეკლესია არსებობდა. პაპმა მთავარეპისკოპოსის კათედრა დააწესა, რომელსაც დამხმარედ ექვსი ეპისკოპოსი ჰყავდა, რომელთაგან ორი საქართველოში იყო: ერთი თბილისში, ხოლო მეორე სოხუმში. ამ მხრივ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ინგლისელი პეტრუს გერალდის მიერ გაგზავნილი წერილი კენტერბერის მთავარეპისკოპოსთან, რომელიც 1330 წლითაა დათარიღებული. წერილიდან ჩანს, რომ გარდა სჯულშემოწმარებლობისა, რომელიც მე-14 საუკუნის სოხუმში იყო, ცხუმის საერისთავოსა და ოდიშის მფლობელის მამია დადიანის დროს კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანების შესახებ აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა რომის პაპს იოანე XXII-სა და საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალეს შორის. გერალდის წერილის მიხედვით, მამია დადიანი მზად იყო ამგვარ გაერთიანებაზე და პირადად კათოლიკობის მიღებაზეც.

მე-17-18 საუკუნეებში ზოგადად საქართველო-რომის ურთიერთობებს პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ინტერესები განსაზღვრავდა. გარდა კონტრრეფორმაციის ფუნქციისა, იესოს საზოგადოებას რომის პაპისგან დაევა ისლამურ სამყაროზე შეტევის მომზადება და ეს სავსებით ლოგიკური და მოსალოდნელი იყო, თუ გავითვალისწინებთ მე-16-18 საუკუნეების ევროპის ქვეყნების ისტორიის დინამიკას, იმ პერიოდისათვის დამახასიათებელ ძირეულ გარდატეხას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში. სწორედ ამ ინტერესთა ერთობლიობამ განაპირობა იესოს საზოგადოების აქტიური მისიონერული საქმიანობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც.

ქართველ მეფე-მთავრებს ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ევროპის ქრისტიანული სახელმწიფოებისა და რომის პაპის იმედი ჰქონდათ. გავიხსენოთ ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის) ელჩობა ევროპის ქვეყნებში 1625-1629 წლებში, განსაკუთრებით ელჩობა ესპანეთში. ქართველი მეფე თეიმურაზ პირველი ელჩის პირით სთავაზობდა ესპანეთის მეფეს, ფილიპე მეოთხეს, თავის სამხედრო-პოლიტიკურ გეგმას, რომელიც მიმართული იყო „ქრისტესა და კათოლიკე ეკლესიის მტრის“ – სპარსული ტირანიის წინააღმდეგ. ფილიპე მეოთხის დაინტერესებას ელჩი იმითაც ცდილობდა, რომ არწმუნებდა: ქართველთა მეფე ესპანეთის მეფეს კონსტანტინოპოლის ტახტის მოპოვებაში დაეხმარებოდა. როგორც ცნობილია, ქართველ ელჩს სარეკომენდაციო წერილები გაატანეს ესპანეთის მეფესთან იერუსალიმის პატრიარქმა თეოფანემ და თეატინელმა მისიონერებმა მესინიდან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინტერესები ურთიერთდაახლოებისა და

ურთიერთდახმარებისა ევროპისა და ქართული მხრიდან თანაბარი იყო. ევროპის ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ინიციატორად რომის პაპი გამოდიოდა. კოალიციაში ევროპის სახელმწიფოებთან ერთად (ინგლისი, ესპანეთი, პოლონეთი, რუსეთი და ა.შ.) ირანი და საქართველო უნდა გაერთიანებულიყო. ქართველი მეფე-მთავრები ევროპასთან ურთიერთობას ეკონომიკურ მიზნებსაც უკავშირებდნენ. მათი პროექტით, უნდა აღდგენილიყო ძველი „აზრეშუმის გზა“, რომელსაც საქართველოზე უნდა გაევიღო და ევროპა აზიასთან დაეკავშირებინა.

1615 წელს თავადმა დადიანმა თავის ელჩს დაავალა კონსტანტინოპოლში მოეძებნა მისიონერები და მასთან ჩამოეყვანა. აღსანიშნავია, რომ მანამდე, მე-17 ს.-ის დასაწყისში ქართველმა თავადებმა მიმართეს სპარსეთში მყოფ მისიონერებს, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს. ამის შესახებ ერთი პორტუგალიელი მისიონერი წერდა: „მანუჩარ ხან მთავარმა, რომელიც ქართველების ერთი სამთავროს პატრონია, ესრედ მითხრა ისპაჰანში, დიდად მოხარული ვიქნები, უკეთუ რამოდენიმე თქვენი მღვდელი წამომყვება ჩემს სამეფოში და თუ ერთ მკურნალსაც თან წამოიყვანს, უფრო დიდად პატივცემული იქნებიანო. იმავე დროს პატრი მელქიორი დეზანჯი, მეფის პალატაში (სპარსეთში) ყოფნის დროს დაჰპირდა წაჰყოლოდა ალექსანდრე მეფეს, საქართველოს ერთ მთავრთაგანს, მაგრამ ლუდოვიკო პერეირე დელჩერდა, რომელიც (ისპანიიდან) ელჩად იყო სპარსეთს გაგზავნილი, არ დათანხმდა მის წასვლას, რადგან არ უნდოდა მოშორება“. მიქელ თამარაშვილი თავის ნაშრომში, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, აღწერს, თუ როგორ დაიწყო „მეგრელებსა და ქართველებში გასაგზავნმა მისიონმა მოღვაწეობა, კერძოდ კი პატრმა ლუდოვიკე გრანჯერიომ (იგივე ლუი გრანჟემ) მორჩილ ძმასთან ერთად. ყოველივე ეს მოხერხდა იეზუიტი მამების თანადგომით. მისიონერები ჯერ გურიაში იქნენ მიპატიჟებულნი გურიელის მიერ, ხოლო მოგვიანებით კი სამეგრელოს მთავარს – დადიანს ეახლნენ. მათ დიდი გეგმები ჰქონდათ, მაგრამ საომარი პირობების გამო აღნიშნულ რეგიონში, მისიონის საქმიანობა არ გაგრძელებულა, იეზუიტებმა ვერ შეძლეს იქ სხვა პირების გაგზავნა. ამას დამატა ისიც, რომ ერთ-ერთი მამა შავმა ჭირმა იმსხვერპლა, ლუი გრანჟემ კონსტანტინოპოლამდე ჩააღწია, მაგრამ მალევე გარდაიცვალა. ამგვარად, შეგვიძლია, რომ იეზუიტებისა და საქართველოს ურთიერთობის დასაწყისად ლუი გრანჟეს (1575-1615 წ.წ.) საქართველოში მოღვაწეობა მივიჩნიოთ. საქართველოში ჩასვლამდე, როგორც ჩანს გრანჟე აგროვებდა გარკვეულ ინფორმაციებსა და მონაცემებს ჩვენს ქვეყანაზე. იეზუიტთა თანამედროვე კატალოგებში იგი მოხსენიებულია, როგორც ფართო განათლების მქონე პიროვნება. იგი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში ყოფნისას გასცნობია მეგრელ მოწაფეებს და იეზუიტთა უმაღლესი წინამძღვრისადმი მიწერილ წერილში დადებითად ახასიათებს მეგრელებს: „ისინი ქრისტიანები არიან, ამზობენ ნაწილობრივ ფრანგები ვართ, ნაწილობრივ ბერძნებიო. ძალზე განიცდიან მღვდლების ნაკლებობას. საფრანგეთის მეფის ღრმადმორწმუნე ელჩს სურს, რომ ჩვენი ორდენიდან ვინმე მათთან ჩავიდეს“. 1615 წ. 2 მარტს მოქვიდან რომში ლუი გრანჟემ ვრცელი წერილი გააგზავნა, რომელიც ლიონში დაიბეჭდა 1616 წელს მნიშვნელოვანი და საგულისხმო წერილების კრებულში, რომლის საშუალებითაც მე-17 ს.-ში იეზუიტები ფართოდ ავრცელებდნენ ცნობებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის შესახებ.

გრანჟეს ეს წერილი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მასში რვა კითხვაა დასმული სამოციქულო განგებასთან დაკავშირებით, რომლებზე პასუხსაც იგი უმაღლესი წინამძღვრისაგან ელოდა: 1) იმ შემთხვევაში, თუ სხვაგვარად დახმარება გამორიცხულია, ხომ არ უნდა მივიღოთ მართლმადიდებლური წესი? 2) მათი წესის მიღების შემთხვევაში ხომ არ უნდა ვამჯობინოთ ბერის სამოსი და ცხოვრების წესი? 3) თუ მართლმადიდებლები ზიარებისათვის ჩვენ მოგვმართავენ, ხომ არ უნდა დავრთოთ ნება ფრანკებს, თავის მხრივ მათაც მიმართონ მართლმადიდებლებს? 4) როცა

მართლმადიდებლები აღსარებისათვის მოგმართავენ, ავუხსნათ მათ ფილიოკვე თუ დავტოვოთ ისინი საკუთარ მრწამსში? 5) ხომ არ ჯობია გადავაფიქრებინოთ ბერძნებს მათთან მისული სომხების ხელახლა მონათვლა, რომლებიც მათ ხელახლა ნათლავენ, რადგან ეჭვი ეპარებათ, რომ სათანადოდ არ არიან მონათლული წმ. სამების სახელით? 6) ბერძენი ეპისკოპოსები, რომლებიც ეპისკოპოსად დანიშვნაში თურქებს ქრთამს აძლევენ, დამნაშავენი არიან თუ არა გამყიდველობაში? 7-8) რა ვუყოთ ლათინებს, რომლებიც თურქებთან თანამშრომლობენ? ამ წერილის შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ მასში ჩამოყალიბებულია იეზუიტთა სტრატეგია. რომიდან კარდინალმა ბელარმინმა ლუი გრანჟეს კითხვებზე უარყოფითი პასუხი გასცა: „შეუძლებელია, თუ ჩვენ ლათინები ბერძნულ წესს მივიღებთ, გავიმეორებთ ბერძენთა შეცდომას, რომლის თანახმადაც ლათინური წესი არასწორიაო“.

ლუი გრანჟეს მისია პირველი იყო იეზუიტებთან საქართველოში. აღსანიშნავია, რომ მის მიმოწერაში ფიგურირებს თამამი აზრები იეზუიტებისათვის იმის შესახებ, რომ საქართველოში წირვა-ლოცვის ჩატარებისას, ლათინური წესი არ გამოყენებინათ და და ამიტომ რომის პაპს თხოვდა ნებართვას, ადგილობრივ ეპისკოპოსებთან ერთად ზოგჯერ მათივე წესით ეწირათ ეკლესია-მონასტრებში, ხოლო საკუთარი წესი კი ყოველდღიური წირვისათვის შემოენახათ. რომიდან პასუხი შემდეგი იყო: თუ იეზუიტები წესს შეცვლიან, ამით იტყვიან, რომ აღარ გვსურს ამ ხალხის დარწმუნება სქიზმიდან ერთიანზე, მცდარიდან ჭეშმარიტზე გადასვლის საჭიროებაში. გამოჩენილი იტალიელი მეცნიერი ვინჩენცო პოჯო თავის ნაშრომში „იეზუიტები და საქართველო“ რომიდან მიღებულ პასუხს კომენტარს უკეთებს და აღნიშნავს, რომ „მამა გრანჟეს მიერ ჩამოყალიბებული პრობლემა ახლოსაა თანამედროვე კათოლიკურ კონცეფციასთან, რომელიც არ გულისხმობს ერთი წესის უპირატესობას სხვა წესთან, როგორც ამას ბელარმინის დროს ფიქრობდნენ“.

ამით იეზუიტებისა და საქართველოს ურთიერთობები არ დასრულებულა, მას ჰქონდა თავისებური გაგრძელება. ამაზე მიუთითებს 1690 წ. 24 აგვისტოთი დათარიღებული წერილი, რომელიც იეზუიტმა იოანე გოსტოვსკიმ პროპაგანდა ფიდემი ერთ-ერთ კარდინალს გაუგზავნა. ამავე იეზუიტს დავალებული ჰქონდა ქუთაისში მისიონის დაარსება. მე-19 ს-ის დასაწყისში კავკასიაში იმოგზაურა ბელგიელმა იეზუიტმა ჟიულ ანრიმ. როგორც მისი წერილიდან ჩანს, იგი საქართველოშიც უნდა ყოფილიყო: „1808 წ. – წერდა იგი, – საქართველოში ვიყავი და ერთ კათოლიკესთან ვცხოვრობდი. ქართველები... ყველა მათგნისგან გამოირჩევიან. ერთხელ მთხოვეს დავრჩენილიყავი მათთან მღვდლად. დავთანხმდი და მათ ეკლესიაში ვიქადაგე. ისინი დიდი ყურადღებით მისმენდნენ“.

1920 წ. ივნისში იესოს საზოგადოების მდივანი პიეტრო ტაჩი ვენტური წერდა აღმოსავლური ეკლესიების კონგრეგაციის თანაშემწეს, მონსინიორ ისაია პაპადოპულუსს: „მაქვს სიამოვნება, გაუწყოთ, რომ შევარჩიეთ საქართველოში გასაგზავნი სამი მისიონერი: ჯოაკინო მოსკა, იტალიელი, ლუი ბაილი, ფრანგი, ლადისლავ ცისკიევიჩი, რუსი“. მათ ვიტო კოლანჯელოც შეუერთდა. 1920 წ. 19 ნოემბერს პაპმა ისინი სპეციალურ აუდიენციაზე მიიღო. 1921 წ. დამდეგს კი მისიონერები საქართველოსკენ გამოემგზავრნენ, მაგრამ თბილისამდე არ ჩამოუღწევიათ. ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის ამბავი რომ შეიტყვეს, ისინი უკან გაბრუნდნენ.

იეზუიტებს საქართველოსთან კავშირი დღესაც არ გაუწყვეტიათ. აქ ჩამოსული იეზუიტები სწავლობდნენ ქართულ ენას, ლიტერატურას, კულტურას. მათგან შეიძლება დავასახელოთ მიშელ ვან ესბროკი, მიქელ არანცი და ვინჩენცო პოჯო.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი ფაქტებით ჩვენ შევეცადეთ გაგვეაზრებინა, თუ რა იყო იეზუიტების საქართველოში ფეხის მოკიდების მცდელობის მიზეზები, რა გეგმები ჰქონდათ ამ გამჭრიახ და პრაგმატულად მოაზროვნე კათოლიკე მოღვაწეებს. იყო

ეს მათი ერთიანი სტრატეგიის ნაწილი თუ მხოლოდ მცდელობა თავიანთი ინტერესების გატარებისა, რატომ ამჯობინეს მეორე პლანზე გადასვლა და ადგილის დათმობა სხვა ორდენებისათვის, რომლებმაც გაცილებით დიდი როლი შეასრულეს მისიონერულ საქმიანობაში? ხომ არ შეინიშნებოდა მათი უჩინარი ხელი სხვა დანარჩენი ორდენების საქმიანობაში საქართველოს ტერიტორიაზე ანდა მეზობელ სახელმწიფოებში? რა თქმა უნდა, ეს ჩასაფიქრებელი კითხვებია, რომელზეც, ვიმედოვნებთ, რომ თანდათანობით გამოიკვეთება სათანადო პასუხები.